

სინანულისათვის და ცხორებაზუა წმიდათა მათ,  
რომელი დილეგსა მას შეყენებულ იყვნეს

## თავი 5

1. სინანული განმაახლებელი არს ნათლისლებისად, სინანული აღთქუმად არს ღმრთისა მიმართ ახლისა ცხორებისად.
2. მონანული ვაჭარი არს სიმდაბლისა მსყიდელი.
3. სინანული არს მოწყუედად სრულიადი წორციელთა ნუგეშინისცემათად.
4. სინანული არს თავისა თვისისა დამშველი გულისსიტყუად და უზრუნველობად ყოვლისაგან და ზრუნვად სულისა თვისისად.
5. სინანული ასული არს სასოებისად და უარის-ყოფად სასოწარკუეთილებისად.
6. სინანული დაშვად არს თავისა თვისისად ურცხვნელი.
7. სინანული დაგებად არს ღმრთისა მიმართ შესწორებულად ცოდვათავსა ქმნითა სიმართლისადთა.
8. სინანული განწმედად არს სკნიდისისად, რომელი-იგი მამხილებელად ბოროტისა დაუბადებიეს ღმერთსა კაცისა თანა.
9. სინანული კარი არს ნუგეშინისცემისად, რადთა უარყოს ყოველივე ნებად თვისი და უკეთურებად თვისი.
10. სინანული მოთმენად არს ნებსითი ყოველთა ჭირთა და განსაცდელთად.
11. მონანული არს მომპოვნებელი ტანჯვათა თავისა თვისისათად ცოდვათა თვისთათვის სოფელსა ამას.
12. სინანული არს მოყმობად მუცლისა თვისისად ძლიერად და მარადის ბრალობად და კდემად სულისა თვისისად მწურვალებითა გულისადთა მტკიცითა.
13. სინანული მიმაახლებელი არს ღმრთისა და განმაშორებელი არს ცოდვათად.

14. შემოკერბით და მომეახლენით, მოვედით და ისმინეთ, და გითხრა თქუენ ყოველთა, რომელთა ღმერთი განგირისხებია; შემოკერბით და იხილეთ, რავდენი მიჩურენა ღმერთმან სარგებელად სულთა თქუენთა და ჩემსა. დავაწესოთ აქა პირველ ყოვლისა და პატივ-[ვ]სცეთ პატიოსნად შეურაცხ-ქმნილთა მუშაკთა საქმესა.

15. ვისმინოთ და დავიმარხოთ და ვქმნათ, რომელთა-დაცა შემთხუეულ არს მოულოდებელი რამე დაცემად; აღემართენით და დასხედით, რომელნი დაცემათაგან ქუემდებარე ხართ; ისმინენით, ძმანო ჩემნო, სიტყუანი ჩემნი. მოყავთ ყური თქუენი, რომელთაცა გნებავს მოქცევითა ჭეშმარიტითა დაგებად ღმერთი თავთა თქუენთა მიმართ.

16. მესმა მე უძლურსა უცხოო რამე მოქალაქობად და საქმც მათი, რომელნი მკვდრ იყვნეს მონასტერსა მას განშორებულსა, რომელსა ენოდებოდა „დილეგი“, რომელი იყო ქუემო-კერძო პირველ წსენებულისა მის მნათობთა მნათობისა, რომელი ვაწსენეთ მორჩილებისა თავსა შინა. და ვიყავ რად ჯერეთ მუნ, ვევედრე დიდსა მას წინამძღუ-არსა, რადთამცა წარვედ მუნ, და ნება-მცა ნეტარმან მან, რომელსა არაოდეს ენება შენუხებად სულისად. ხოლო მივიწიე რად მონასტერსა მას მონანულთასა და ადგილსა ჭეშმარიტთა მათ მგლოვარეთასა, ვიხილენ მუნ საქმენი, რომელნი ვიკადრო და ვთქუა, ვითარმედ თუალსა კაცისა უდბისასა არა უხილავნ, და ყურთა დაწსნილისათა არა ას-მიან, და გულსა მცონრისა და ვნებათა მოყუარისასა არა მოსრულ არიან საქმენი და სიტყუანი, რომელნი შემძლებელ იყვნეს იძულებად სახიერებისა ღმრთისასა, ღონენი და სახენი შემძლებელნი კაცთმოყუარებისა მისისა ადრე მოდრეკად. რამეთუ რომელნიმე უბრალოდ დაშჯილთა მათგანი მწუხრითგან ვიდრე განთენებადმდე დგიან ჰაერთა გარე დაწყობილნი ფერწითა შეუძრველად, და ძილისაგან შეიმუსრვოდეს, და ირწეოდეს საწყალობელად იძულებითა

ამის ბუნებისაათა; და არცა ერთსა განსუენებასა სცემდეს თავსა თკსსა, არამედ ჰრისხვიდეს და აყუედრებდეს თავთა თკსთა კდემითა და შეურაცხებითა. სხუანი ზეცად მიმართ ხედვიდეს სურვილით და ვედრებით, და ითხოვდეს მიერ შეწევნასა ტირილითა და გოდებითა; და სხუანი კუალად მდგომარე იყვნეს, ვითარცა დაშვილნი, და წელნი უკუღ-მართ შეეკრნეს, ვითარცა ავაზაკთა, და პირნი მათნი დაე-დრიკნეს ქუეყანად, და აქუნდეს თავნი თკსნი ულირსად ზეცად ახილვასა, და სიმრავლისაგან მწუხარებისა გულთა მათთავსა არცა იცოდეს, თუ რად ილოცონ, ანუ რად თქუან ღმრთისა მიმართ, ანუ-თუ ვინად იწყონ ყოფად ვედრები-სა, არამედ ოდენ სულნი მათნი და გონებანი უსიტყუე-ლად წარედგინნეს წინაშე ღმრთისა, და სასოწარკუეთილ-ნი იყვნეს ყოვლისაგანვე, არამედ ღმრთისა მიმართ ოდენ აქუნდა სასოებად. სხუანი ნაცარსა ზედა და ძაძასა მსხდო-მარე იყვნეს, და პირნი მათნი მუჯლთა მათთა დაეფარნეს, და თავები ქუეყანად დაედრიკა. სხუანი კუალად დაუცადე-ბელად მკერდსა იცემდეს და გოდებდეს ტირილითა დიდი-თა ცხორებასა მათსა. და რომელთამე დაელტვნეს იატაკნი სენაკთა მათთანი ცრემლითა, და რომელთამე ცრემლი არა აქუნდეს, და თავთა თკსთა სცემდიან და იტყებდეს სულთა ზედა თკსთა, ვითარცა მკუდართა, რამეთუ ვერლარა თავს-იდებდეს ურვასა მას გულისა მათისასა; და რომელნიმე იღრჯენდეს კბილთა მათთა ტკივილისაგან გულისა, და არა უტეობდეს, რაღამცა ჭმად გოდებისა მათისად ისმოდა, და მრავალგზის ვერ უძლიან თავსდებად და მეყსეულად ჭმა-ყვიან გოდებით.

17. ვიხილენ მე მუნ კაცნი, რომელნი ვითარცა განცვებ-რებულნი და განლიგებულნი იყვნეს სახითა და მჭმუნვა-რებითა, და ვითარცა გონებამიღებულნი მრავლისა მისგან ურვისა გულთა მათთავსა, და დანთქმულ იყვნეს გონებანი მათნი უფსკრულსა სიმდაბლისასა, და ცეცხლითა მით ტკი-

ვილისა გულისადთა ცრემლნი თუალთანი შეეწუნეს, და თუ-ალნი მათნი ცრემლთაგან მწარეთა დამწუარ იყვნეს.

18. სხუანი მსხდომარე იყვნეს მჭმუნვარედ, ქუეყანად ხედვიდეს და თავთა დაუცადებელად იწონდიან და ვითარცა ლომნი სილრმეთაგან გულისათა იღრჭენდეს და კუმინ-ვიდეს; რომელნიმე მათგანნი ითხოვდეს ღმრთისაგან შენ-დობასა დიდითა სასოებითა; და სხუანი ითხოვდეს სიმდაბ-ლითა დიდითა, ვითარმედ: „არა ღირს ვართ შენდობასა ცოდვათასა და არცა გუაქუს სიტყუად, რაღთამცა მიუგეთ ღმერთსა“. და სხუანი ითხოვდეს ღმრთისაგან, რაღთა იტან-ჯნენ აქა და მუნ პოონ წყალობად საუკუნესა მას; და რო-მელნიმე შემუსრვილნი სიმძიმისაგან სკნიდისისა ევედრებო-დეს, ვითარმედ: „დაღაცათუ სასუფეველსა არა ღირს ვართ, ოდენ ნუ დაგუტანჯავ, და კმა არს ჩუენდა“.

19. ვიხილენ მუნ სულნი მდაბალნი და შემუსრვილნი და თავდადრეკილნი სიმძიმისაგან ტკრთთადსა, და ქვათაცა ლმობიერ-ყოფად შემძლებელ იყვნეს წმათა მათ და სიტყუა-თა მიერ, რომელთა იგინი ღაღადებდეს ღმრთისა მიმართ, რამეთუ იტყოდეს ქუედადრეკილნი ესრეთ:

20. „უწყით, უწყით, ვითარმედ ღირს ყოვლისავე სა-ტანჯველისა ვართ და სამართლად, და არცა შემძლებელ ვართ სიტყვეს-მიცემად ჩუენისა მის თანანადებისათვს, არ-ცალა თუმცა ყოველნი დაბადებულნი შემოკრბნეს ჩუენთვს გლოვად, არამედ შეგივრდებით და მრავლისა მის წყალობი-სა შენისათვს კადნიერ ვიქმნებით და გევედრებით: „ნუ გუ-ლისწყრომითა შენითა მამხილებ ჩუენ, ნუცა რისხვითა შე-ნითა მსწავლი ჩუენ“ (ფსალმ. 6,2), ნუმცა ღირსად საქმეთა ჩუენთა დაგუშვი, არამედ წყალობით, და კმა არს ჩუენდა, რაჟამს მრავლისა მის რისხვისა შენისაგან და სატანჯველ-თაგან უსახელოთა და დაფარულთა განვერნეთ, რამეთუ სრულიად შენდობისა თხოად ვერ ვიკადრებთ, და ვითარმცა ვიკადრეთ, რომელთა ესე აღთქუმად ჩუენი არა დავიმარხეთ

უბინოდ, არამედ შევაგინეთ იგი შემდგომად პირველისა მის კაცომოყუარებისა შენისა და პირველ-ქმნულთა მათ შენდობისა“.

21. მუნ იხილვებოდეს განცხადებულად, ჭ, საყუარელნო, სიტყუანი დავითისნი, რამეთუ ვხედევდი მუნ კაცთა შებოროტებულთა და დამდაბლებულთა ფრიად, ვიდრე ალსას-რულამდე ცხორებისა მათისა; მარადლე მწუხარედ მავალი იყვნეს ქედდადრეკილნი და ჭირვეულნი ყოველთა დღეთა მათთა, შეყროლებულნი და შელპოლვილნი წყლულებათაგან წორცთა მათთავსა, და იყვნეს იგინი უღუაწად კაცთა მიერ (შდრ. ფსალმ. 37: 9,7,6). და სიმრავლითა ურვათა მათთავთა დავინწყებულ იყო ჭამად პურისა მათისა, ხოლო წყალთა მათსა განპზავებდეს ცრემლითა და პურისა წილ მიწასა და ნაცარსა ჭამდეს; და შეკრულ იყვნეს წორცნი მათნი ძუალთა მათთა, და გუამნი მათნი განწმელ იყვნეს, ვითარცა თივანი განწმელნი (შდრ. ფსალმ. 101, 5-12).

22. არარად ისმოდა სხუად მათგან, გარნა ესე სიტყუადოდენ: „ვადმე, ვადმე! რად შემემთხვა უბადრუკსა ამას!“ „სამართლად, სამართლად, მილხინე, მილხინე, მეუფეო!“ „წყალობა ყავ, მოწყალეო, შენდობა ყავ, მაცხოვარო ყოველთაო!“

23. ძმანო, მუნ მოტყინარენი ენანი ვიხილენ, რომელნი გამოეყვნეს პირთა მათთაგან, ვითარცა მქეცთა; რომელნიმე სიცხესა შინა სტანჯვიდეს თავთა თვსთა, და რომელნიმე ყინელითა იგუემებოდეს, რომელნიმე ოდენ გემოსა იხილვიდეს წყლისასა მცირედ, რომელ ოდენ არა მოკუდებოდეს წყურილისაგან; და პურისაგან მცირედ რად მიიღიან, მეყ-სეულად დაუტევიან და იტყოდიან, ვითარმედ: „ჩუენ არა ღირს ვართ საზრდელსა კაცთასა, რომელთა გკემნიან საქ-მენი პირუტყუთანი“.

24. ვინმცა იხილა მათ თანა ღიმილი და განცხრომად, ანუ სიტყუად ცუდი, ანუ გულისწყრომად, ანუ რისხვად, რამეთუ სრულიად დაჰვიწყებოდა რისხვად, რომელ არცა-თუ

აქსოვდალა თუ კაცთა შორის არს მრისხანებად, რამეთუ გლოვასა სრულიად გულისწყრომად წარეწყომიდა. სადამ-ცა იპოვა მათ შორის სიტყვსგებად, ანუ კადნიერებად, ანუ განსუენებად რაღმე წორცთად? სადამცა იხილა მუნ კუალი ზუაობისად, ანუ სასოებად შუებისად, ანუ მოგონებად ლვნი-სად, ანუ გემოვსხილვად ხილისად, ანუ ნუგეშინისცემად გბოლვილისად, ანუ სიტყბოებად სასისად? რამეთუ ამის ყოვ-ლისავე სასოებად მათგან უჩინო-ქმნილ იყო ამას საწუთ-როსა. სადამცა იყო მათ შორის ზრუნვად საქმისა რაღსამე სოფლიოვსად, ანუ განკითხვად კაცისად? ნუ იყოფინ! არამედ ესე სიტყუანი და ღალადებანი იყვნეს მათ შორის მარადის.

25. რომელინიმე წელითა მკერდთა იცემდეს ძლიერად, და ვითარმცა ბჭეთა თანა ცისათა დგეს, იტყოდეს ღმრთისა მიმართ: „განგვლე ჩუენ, შ, მსაჯულო სახიერო, განგვლე, განგვლე ჩუენ კარი წყალობისად, რომელი ცოდვითა ჩუენი-თა დავწაშთ, განგვლე!“ და სხუანი იტყოდეს: „გამოაპრნ-ყინვე, მეუფეო, პირი შენი ჩუენ ზედა და ვცხონდეთ!“ და სხუამან თქვს: „გამოაჩინე ნათელი შენი, შ, მეუფეო, გლახაკთა ამათ ზედა და მსხდომარეთა ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა!“ სხუამან თქვს: „მსოუად მენიენ ჩუენ, უფალო, წყალობად შენი! რამეთუ წარვნებით, რა-მეთუ განვინირენით, რამეთუ მოვაკლდით ფრიად!“ სხუანი იტყოდეს: „ძმანო, გამო-მცა-აჩინაა ამიერითგან უფალმან ნათელი მისი ჩუენ ზედა?“ და სხუად იტყვნ: „ძმანო, გან-ვლო-მეა სულმან ჩემმან ლუარი იგი თანანადებთა ჩუენთად დაუდგრომელი?“

და სხუანი იტყოდინ: „საყუარელნო ძმანო, შენდობა-მე-ყოსა ამიერითგან უფალმან ჩუენ ზედა? ანუ გუესმას-მეა წმად მისი, რაჟამს იტყოდის ჩუენდა მომართ, ვითარმედ: ‘თქუენ, რომელნი-ეგე კრულ ხართ საკრველითა მით გან-უქსნელითა, გამოვედით, და რომელნი-ეგე შთავრდომილ ხართ ჯოჯოხეთს შინა, სინანულისა თქუენისათვს შემინდო-

ბია? ’ შე-მე-სრულ არსა წმად ჩუენი ყურთა უფლისათა? ” და ყოველთა წინაშე თუალთა მათთა აქუნ სიკუდილი, და იტყვიდიდ: „ეპა, რაღ-მე ყოფად არს ალსასრული ჩუენი? ეპა, რაღ-მე განჩინებად მოსლვად არს ჩუენ ზედა, ანუ რომელთა-მე ადგილთა მისლვად ვართ? ყოფად-მე არსა შენდობად ჩუენ გლახაკთად ამათ და დაბნელებულთა და დაშვილთად? ანუ მიიწია-მეა ვედრებად ჩუენი წინაშე უფლისა, გინა-თუ მართლუკუნიქცა სირცხვლეული და დამდაბლებული? და უკუეთუ მიიწიაცა და შევიდა წინაშე უფლისა, რაღ-მე ყო? რაღზომ მოწყალე-ყო იგი ჩუენ ზედა? რაღზომ სარგებელ იქმნა? რამეთუ არაწმიდათაგან პირთა და გუამთა განვიდა და არარად არს მის თანა ძალი.

26. ანუ სრულიად-მე მოწყალე-ყო მსაჯული იგი ჩუენ ზედა, გინა-თუ მცირედ რამე, ანუ-თუ ნახევარსა ზედა წყლულებათა ჩუენთავსა? რამეთუ დიდ არიან ესენი ფრიად, და მრავალთა შრომათა და ოფლთა ლირს არიან.

27. მო-მე-ახლებულ არიანა მცველნი ჩუენნი ანგელოზნი ანუ ჯერეთ შორს არიან ჩუენგან? რამეთუ უკუეთუ იგინი არა მოგუეახლნენ, ყოველი შრომად ჩუენი ცუდ და უსარგებ-ლო არს, რამეთუ არა აქს ძალი კადინიერებისად ლოცვასა ჩუენსა, არცა ფრთენი სიწმიდისანი შესლვად წინაშე უფლი-სა, უკუეთუ არა ანგელოზნი ჩუენნი მოგუეახლნენ ჩუენ, და მიიღონ იგი და შეწირონ უფლისა“.

და კუალად ურთიერთას მრავალგზის საკურველე-ბით იტყვედ: „ეპა, ძმანო, რასა იტყვთ, მივემთხუვით-მეა, რომელსა-იგი ვეძიებთ? მოგუეცემიან-მეა თხოანი ჩუენნი? შე-მე-გვწყნარებსა უფალი? გან-მე-გვლებსა წყალობასა თკსა? ” და სხუათა მიუგიან და თქვან: „ვინ უწყის, ვითარცა თქუეს ძმათა ჩუენთა ნინეველთა, ‘ნუუკუე შეინანოს უფალ-მან’ (იონ. 3,9) და მრავალთა მათგან სატანჯველთა მიწს-ნეს ჩუენ. გარნა ჩუენ ჩუენი ვყოთ, რაღზომცა ძალ-გვც. და უკუეთუ განგვლოს სიტკბოებითა თკსითა, კეთილ, უკუე-

თუ არა, კურთხეულ არს უფალი, რომელმან დაგვწეშა ჩუენ სამართლად, გარნა დავადგრეთ და ვპრეკდეთ ვიდრე აღ-სასრულადმდე ცხორებისა ჩუენისა, და ნუუკუე მრავლისა მის წყინებისა ჩუენისათვს განგვლოს წყალობითა თვესითა“.

და კუალად, იტყოდიან ურთიერთას: „ვრბიოდით, ძმანო, ვრბიოდით, რამეთუ სრბად საწმარ არს და სრბად ფრიადი, რამეთუ კეთილისა მის კრებულისა ჩუენისაგან გამოვცვ-ვით. ვისწრაფოთ და არა შევიწყალნეთ ბოროტნი ესე და შე-გინებულნი ჭორცნი ჩუენნი, არამედ მოვაკუდინნეთ იგინი, ვითარცა მათ მომაკუდინნეს ჩუენ“. და ესრეთცა იქმოდეს სანატრელნი იგი.

28. მე ვიხილენ, ძმანო, მათ თანა მუქლნი, დაკანებულნი სიმრავლისაგან მუქლთდრეკისა; და თუალნი მათნი შემწუარ იყვნეს ცრემლითა და სიღრმედ შთასრულ იყვნეს; და თმანი მათნი დაეფხურნეს და ღანუნი მათნი დაებძარნეს და მოე-წყლნეს სიმრავლესა მწურვალეთა მათ ცრემლთასა; და პირ-ნი მათნი დამდნარ იყვნეს და დაყვთლებულ, არარადთა გან-ყოფილ იყვნეს მკუდართაგან; და მკერდნი მათნი მოეწყლნეს ცემითა და სისხლსა მტკნარსა წარმოჰყრიდეს ზედავსზედა ცემითა მკერდთადთა.

29. სადა იპოებოდა მათ შორის განმზადებად საწოლთად, ანუ შემოსად სამოსელთა კეთილთად, არამედ ყოვლადვე ჰემოსიედ დაბებკული და შეურაცხი, სავსც ბაყლითა და ტი-ლითა. რად იყო მათსა მას ჭირსა თანა ჭირი ეშმაკეულთად, ანუ-თუ გლოვად მათი, რომელნი ჰეგოდებდიან მკუდართა, ანუ-თუ ჭირი მათი, რომელნი ექსორიობასა შინა არიედ, ანუ რომელნი კაცისკლვასა ზედა შეპყრობილ არიედ! ჭეშ-მარიტად არარად არს ამათ ყოველთა იძულებითი იგი ტანჯ-ვად მათსა მას ნებსით გუემასა თანა თავისა თვესისასა. და ნუ ჰეგონებთ, ძმანო, თუ სიტყუანი ჩემნი ცუდ არიან.

30. მრავალგზის ევედრებიედ იგინი წინამძღვარსა მას და მწყემსსა მას დიდსა, ჭეშმარიტად ანგელოზსა კაცთა

შორის, რაღთა შებორკილნეს იგინი წელით და ფერწით და ჯაჭვ მოაბას ქედსა, და ფერწინი წუნდსა შინა დაპერძალნეს, ვითარცა ეშმაკეულნი, და რაღთა არა განვისწევს მიერ, ვიდრემდის საფლავად მივიდოდინ.

31. არა დავფარო ესეცა მათი იგი სიმდაბლც შემუსრვილი და სიყუარული ღმრთისა მიმართ და სინანული. რამეთუ ეგულებინ რად უფლისა მისლვად და წარდგომად თუალუხუავსა მას საყდარსა წინაშე მისსა კეთილთა მათ ქუეყანისა მის სინანულისა მოქალაქეთა, რაჟამს იხილის ვინმე თავი თვესი მათგანმან აღსასრულსა ზედა, წინამდლურისა მის მიერ მათისა, რომელი დადგინებულ იყო მათ ზედა, მიავლინის მის მიერ ვედრებად დიდისა მის მამისა მიმართ და აფუცებნ ვედრებით, რაღთა არა ღირს-ყოს იგი დამარხვად, ვითარცა კაცი, არამედ ვითარცა პირუტყვკ დააგდოს შესაჭმელად მწეცთა, ანუ-თუ მდინარესა შთააგდოს. და მრავალგზის უსმინის მნათობმან მან გულისჯმის-ყოფისამან და თვინიერ ფსალმუნებისა და პატივისა ბრძანის განყვანებად მათი.

32. ხოლო თუ ვითარი ხილვად იყო საშინელი მათისა მის უკუანაძესკნელისა უამისად, ისმინეთ: რამეთუ ცნიან რად წმიდათა მათ მონანულთა ვისიმე მათგანისა აღსრულებად, ვიდრელა ჯერეთ ცნობასა იყოფებინ, გარემოადგიან წყურიელნი და წადიერნი, და საწყალობელითა სახითა და მჭმუნვარითა სიტყვითა თავთა იწონდიან და დაიწუვოდიან წყალობითა მისითა, რომელი-იგი მიიცვალებინ, და კითხვით ეტყოდიან: „რად არს, ძმაო და ჩუენ თანა მონანულო?! რასა იტყვკ, რად სასოებად გაქუს, რასა მოელი? მიემთხვეა შრომათა შენთა საძიებელსა მას, ანუ ვერ უძლე? განგელოა კარი, ანუ ჯერეთ ბრალეული ხარ? მიიწიეა, რომლისა მიმართ ისწრაფი, ანუ ჯერეთ შორს ხარ? მიგილებიესა გულსავსებად, ანუ უცნაურ არს ჯერეთ სასოებად შენი? მოგეცაა აზნაურებად, ანუ ჯერეთ იჭუეულ არს გულისსიტყუად შენი? მოვიდაა ნათელი გულად შენდა, ანუ ჯერეთ დაბნე-შენი?

ლებულ არს? მოწევნულ არსა შინაგან შენდა წმად იგი, რომელი იტყვს, ვითარმედ: ‘მიტევებულ არიან ცოდვანი შენი’ (მათ. 9,2), ანუ-თუ: ‘სარწმუნობამან შენმან გაცხოვნა შენ’ (მათ.9,22), ანუ-თუ: ‘აპა ესერა, განკურნებულ ხარ’ (იოან. 5,14)? ანუ ჯერეთ იგი წმად გესმისა, რომელი იტყვს, ვითარმედ: ‘მიიქეცით ცოდვილნი ჯოჯოხეთს’ (ფსალმ. 9,18), ანუ-თუ: ‘შეუკრენით წელნი და ფერწენი მისნი’ (მათ. 22,13), ანუ-თუ: ‘მოისპენ ცოდვილი, რაღთა არა იხილოს დიდებად ღმრთისად’ (ეს. 26,10)? რასა იტყვ, ძმაო, ანუ რასა შინა ხარ, გვთხარ ჩუენ, გევედრებით! რაღთა ჩუენცა ვცნათ, თუ რაღმე ყოფად არს, რამეთუ შენი ჟამი აზ მოკლებულ არს და სხუად არღარა ჰპოო უკუნისამდე“.

33. ამათ სიტყუათა მიმართ რომელთამე მიცვალებადთა მათგანთა თქვან, ვითარმედ: „კურთხეულ არს უფალი, რომელმან არა მიმცნა ჩუენ ნადირად კბილთა მათთა“ (ფსალმ.123,6); და სხუამან თქვს: „კურთხეულ არს უფალი, რომელმან არა განიშორა ლოცვად ჩემი, არცა წყალობად მისი ჩემგან“ (ფსალმ. 65,20); და სხუამან თქვს სალმობით: „განჯდეს-მეა სულნი ჩუენნი ღუარსა მას დაუდგრომელსა, სულთა მათ ჰაერისათა?“ (შდრ. ფსალმ. 123,5). რამეთუ ჯერეთ არა მინდობილ არნ, თუ რად ყოფად არს განსაკითხავსა მას შინა; და სხუამან ამისა უმწარესიცა თქვს, ვითარმედ: „ვად სულისა მის, რომელმან არა დაიცვა აღთქუმად თვისი უბიწოდ, ამას ჟამსა ცნას მან, თუ რად განმზადებულ არს მისდა“.

34. ხოლო მე, ვიხილე რად ესე ყოველი მათ თანა, კნინდა და სასოებად თავისა ჩემისად განვიწირე, ვხედევდ რად ჩემსა უწესოებასა და მათსა მას ღუანლსა, რამეთუ ვითარი იყო ჰაერიცა ადგილისად მის ყოვლითურთ ბნელ, ყოვლითურთ მყრალ და ბოროტ და შესაჭირვებელ, რამეთუ „დილეგ“ და „საპყრობილე“ სამართლად ეწოდებოდა, ვიდრელა ადგილისა ოდენ ხილვად ყოვლისავე სინანულისა და გლოვისა მას-

წავლელ იყო. არამედ რაღ-იგი სხუათა ძნელად და მოუთმენ-ლად უჩნს, იგი სულიერისა სიმდიდრისაგან დაცემულთა და მისა მიმართ მოსურნეთა ტკბილად და გემოვნად შეურაცხი-ან. რამეთუ სულმან, რომელმან წარწყმიდოს კადნიერებად იგი პირველი და სასოებისაგან უვნებელობისა დაეცეს, და ბეჭედი სიწმიდისად განრყუნას, და სიმდიდრისაგან მადლ-თადსა დაგლახაკნეს, და საღმრთოვასა ნუგეშინისცემისაგან უცხო იქმნეს, და ალთქუმად თკსი შეურაცხ-ყოს, და ცეცხლი კეთილთა მათ ცრემლთა მისთად დაშრტეს, და წსენებითა ამათ ესევითართადთა ეწერტებოდის, მან არა ხოლო თუ ესოდენი, რომელი პირველ ვაწსენეთ, თავს-იდვას წადიერე-ბით, არამედ სიკუდილსაცა თავისა თკსისასა ღმრთისათკს არა ჰრიდოს, უკუეთუ იყოსლა მის შორის დაშთომილი წა-ბერნყალი სიყუარულისა ანუ შიშისა უფლისად, ვითარცა-იგი იყვნეს წმიდანი ესე, რომელნი ვაწსენენ. რამეთუ ესე ყოველი გონებასა აქუნდა, და სიმაღლესა მას, რომლისა-გან დაეცნეს, იგონებდეს და იტყოდეს: „მოვიწსენენით დლენი იგი პირველი და ცეცხლი იგი მწურვალებისა და მოსწრაფებისა ჩუენისად, ვითარ წარწყმდა და უჩინო იქმ-ნა იგი!“ და სხუანი ღალადებდიან ღმრთისა მიმართ: „სადა არიან წყალობანი შენი პირველი, უფალო, რომელნი-იგი უჩიუენენ სულსა ჩუენსა ჭეშმარიტებითა შენითა? მოიწსენენ ყუედრებანი და მოსწრაფებანი მონათა შენთანი!“ და სხუად კუალად იტყვნ: „ვინ-მე მომცეს თუც ერთი თუეთა მათგან პირველთა, რომელთა შინა მფარვიდა ღმერთი, რაჟამს-იგი ბრნყინვიდა სანთელი წათლისა მისისად თავსა ზედა გულისა ჩემისასა?!”

35. ესრეთ მოიწსენებდეს პირველთა მათ კეთილთა და კეთილად დგომასა მათსა, და მათთკს, ვითარცა მკუდარ-თა ზედა შვილთა – მამანი, ესრეთ გოდებდეს და იტყო-დეს: „სადა არს სიწმიდე იგი ლოცვისა ჩუენისად, სადა არს კადნიერებად იგი მისი, სადა არიან ტკბილნი იგი ცრემლნი

მწარეთა ამათ ნილ, სადა არს სასოებად იგი ქალწულები-სად და სიწმიდში იგი სრული, სადა არს მოლოდებად ნე-ტარისა მის უვნებელობისად, სადა არს სარწმუნოებად იგი, რომელი გუაქუნდა მწყემსისა მიმართ, სადა არიან მადლ-ნი იგი, რომელნი იყვნეს ჩუენ ზედა ლოცვითა მისითა? წარვწყმიდეთ იგი ყოველი და ვითარცა არაყოფილი, ეს-რეთ იქმნა „უჩინო“. და მესმა, ვითარმედ რომელნიმე მათ-განნი ითხოვდეს ღმრთისაგან, რაღთამცა მოუვლინა მათ ეშმაკეულებად ტანჯვად ჭორცთა მათთა, და რომელნიმე ითხოვდეს წარწყმედასა პირთა მათთასა, რაღთა საჩუენებ-ელ იქმნენ ყოველთა კაცთა, და ოდენ რაღთაცა ღონითა საუკუნეთა მათ სატანჯველთა განერნენ, და რომელნიმე ითხოვდენ, რაღთა მოუვლინოს მათ სიგონჯვშ.

36. ხოლო მე, ძმანო, ვიხილე რად საქმც მათი და გლოვად იგი საკრველი, დამავიწყდა თავი ჩემი და აღიტაცა გონებად ჩემი და ვერ შემძლებელ ვიყავ ნუგეშინისცემად სულსა ჩემ-სა. და დავყავ მათ თანა საპყრობილესა მას ოცდაათი დღი და მივიქეც კუალად უთმინოვ ესე დიდადვე მონასტრად დიდისა მის მიმართ მამისა. ხოლო მან იხილა რად შეცვა-ლებული და განლეული ფერი ჩემი, ცნა მიზეზი იგი შეცვა-ლებისა ჩემისად და მომიგო და მრქუა მე: „რად არს, მამაო იოვანე! იხილენა მოლუანეთა მათ შრომანი?“ მიუგე და ვარ-ქუ მას: „ჰე, მამაო, ვიხილე ჭეშმარიტად ხილვად საშინელი და დამიკურდა, და ვპნატრი მე მათ, რომელნი დაეცნეს და ინანიან და იგლოვენ თავთა თვსთა, ვიდრელა რომელნი არა დაცემულ არიან და არცა იგლოვენ, რამეთუ რომელნი-იგი იგლოვენ, აღდგეს დაცემისაგან აღდგომითა მით დაუცე-მელითა“. ხოლო მან მრქუა მე: „ეგრეთ არს ჭეშმარიტად“.

და მითხობდა უტყუელი იგი პირი მისი, ვითარმედ: „იყო აქა ძმად უწინარეს ათისა წლისა, ფრიად მშრომელი და მოსწრავში, და ვხედევდ რად ესევითარსა მწურვალებასა სუ-ლისა მისისასა, მეშინოდა შურისაგან ეშმაკისა კეთილისმო-

ძულისა, ნუუკუე მალესრბისა მისისაგან შეუბრკმუეს ფერწი მისი ქვასა, რომელი მრავალგზის შე-ცა-ემთხუევის მათ, რომელნი მოსწრაფედ რპიოდენ, და ეგრეცა იქმნა.

37. და ღამესა ერთსა აღმოვიდა ჩემდა და გამომიცხა- და მე წყლულებად განცხადებულად, და ითხოვდა ჩემგან წამალსა საკურნებლად და დაწუვასა, და შეურვებულ იყო ფრიად. და ვინათვან ლირსი წყალობისა და შენდობისად იყო, იხილა მან მკურნალი, რამეთუ არა ენება დამძიმებად კანონისად მის ზედა.

38. მაშინ დავარდა ქუეყანასა და მოეხვა ფერწთა და დაბანნა იგინი ცრემლითა, და ითხოვდა მისლვასა საპყრო- ბილესა მას, რომელიცა იხილე, და ღალადებდა, ვითარმედ: ‘შეუძლებელ არს არამისლვად ჩემი მუნ’, და აიძულებდა მოწყალებასა მკურნალისასა შეცვალებად უწყალოებისა მი- მართ, რომელი-ესე მცირედ იპოების სწეულთა თანა.

39. და ესრეთ წარვიდა მონანულთა მათ თანა და იქმ- ნა მოყუას მათდა და თანაზიარ ღუანლსა მათსა. და იწყლა გული მისი მწუხარებითა სიყუარულისა ღმრთისათა, და მერვესა დღესა მიიცვალა უფლისა, და ითხოვა ვედრებით არა დამარხვად მისა, არამედ განგდებად გარე. ხოლო მე აქა მოვიყვანე იგი და დავმარხე მამათა თანა, ვითარცა ლირსი, და ამისთვეს, [რამეთუ], შემდგომად შედეულისა მის დღი- სა მონებისა მისისა, მერვესა დღესა განიჩსნა და მიიცვალა აზნაურებად საუკუნოდ. და არს აქა კაცი, რომელსა უწყა მისთვეს განცხადებულად, ვითარმედ ჯერეთ არა აღდგომილ იყო ფერწთა ამათგან შეურაცხთა და უნდოთა, რაჟამს მიუ- ტევა ღმერთმან ცოდვად იგი. და არა საკურველ არს ესე, რა- მეთუ რაჟამს მოიგო სარწმუნოებად დედაკაცისა მის მეძვი- სად, და მსგავსად მისა გულსაკვსებით დაალტვნა უნდონი ესე ფერწი ჩემნი ცრემლითა, ამისთვესცა ჰპოვა შენდობად, ვი- თარცა თქუა უფალმან, ვითარმედ: ‘ყოველივე შესაძლებელ არს ყოფად მისა, რომელსა ჰრწმენეს’ (შდრ. მარკ. 9,23)“.

40. ვიხილენ სულნი შეგინებულნი და განცოფებულნი ტრფიალებითა ბოროტითა წორცუთადთა, და ამისა შემდგომად მოიპოვს გულთა მათთა სინანულისა ცეცხლი, და ვინათგან გამოცდილ იყვნეს ტრფიალებასა, დაუტევეს ბოროტი იგი და მოიგეს ღმრთისა მიმართ ტრფიალებად, შემსგავსებული პირველისად მის მწურვალებისად, და ყოველსავე შიშსა მეყსეულად თანაწარჰქიდეს და სიყუარულად ღმრთისა მიიწინეს. ამისთვის უფალმან არა თქუა მეძვისა მისთვის, ვითარმედ: „შეეშინა ფრიად“, არამედ: „შეიყუარა ფრიადო“ (ლუკ. 7,47), და შეუძლო ტრფიალებითა ტრფიალებისა ადვილად განდევნად საღმრთოება მით და წმიდითა ბოროტისა მის და მედგრისა.

41. არა უმეცარ ვარ მე, ჭ, საკურველნო ძმანო, ვითარმედ მრავალთა ურნმუნო უჩან და სხუათა სასონარკუეთილებისა მომატყუებელად შეურაცხიან ღუაწლნი ესე, რომელი გითხრენ. ხოლო კაცმან ახოანმან და გონიერმან ამათ სიტყუათა მიერ მიიღოს საწერტელი და ისარი ცეცხლისად, და შური კეთილი გულად მისა საქმით და არა სიტყვა. ხოლო რომელსა საქმეთა მათ ქმნად ვერ ძალ-ედვას, მან იცნას თვისი უძლურებად, და სიმდაბლც, უკუეთუ ენებოს, ადვილად მოიგოს, და ესრეთ პირველსა მას სდევდეს, ხოლო არა უწყი-თუ მი-ცა-ენიოს. არამედ კაცი უდები ნუ შეეხებინ თქუმულთა ამათ, ნუუკუე რასა-იგი იქმს, იგიცა სასონარკუეთილებითა წარწყმიდოს, და აღესრულოს მის ზედა სიტყუად იგი, რომელი იტყვს, ვითარმედ: „რომელსა არა აქუნდეს მოთმინებად, რომელი აქუნდეს, იგიცა მო-ვე-ელენ მისგან“ (მათ. 25,29).

42. უწყოდეთ, საყუარელნო, ვითარმედ რომელნიცა მთხრებლსა მას ცოდვისასა შთავცვეთ, ვერ შესაძლებელ არს მიერ აღმოსლვად ჩუენი, არა-თუ ვიყურჭუმოთ უფსკრულსა მას მონანულთა სიმდაბლისასა.

43. სხუად არს მონანულთად იგი მგლოვარც და მჭმუნვარც სიმდაბლც, და სხუად არს სიმდაბლც მათი, რომელნი

ჯერეთ ცოდვასა შინა არიან და დაიშვებიან სკნიდისისაგან, და სხუად არს ღმრთისამიერი სრულთა ზედა მომავალი იგი სანატრელი და სულთა განმამდიდრებელი სიმდაბლე.

44. ნუმცა ვისწრაფით მესამისა ამის სიტყვით პოვნად, თუ არა, ცუდად ვშურებით, რამეთუ სიტყვით ცნობად მისი შეუძლებელ არს, ხოლო პირველისა მის სასწაული არს მოთმინებად გინებისა და შეურაცხებისად მარადლე.

45. პირველთა საქმეთა და ჩუეულებათა ბრძოლად მძლავრობს მრავალგზის მგლოვარეთაცა და არა საკურველ არს.

46. სიტყვად საშჯელისა მის დაცემათავსა დაფარულ არს და ვერ მისაწომელ, თუ რომელნი არიან უდებებისაგან, ანუ რომელნი არიან მიშუებისა განგებულებისათა, ანუ რომელნი არიან გარემიქცევითა ღმრთისათა მოწევნულნი. გარნა ესე ვინმე მითხრა, ვითარმედ განგებულებით მოწევნულთა ადრე აქუს მათგან მოქცევად, რამეთუ არა შეგვნდობს მყოვარუამ ტანჯვად ეშმაკისაგან, რომელმან-იგი მიგუცნა ჩუენ განსწავლად.

47. რომელთა შემემთხვოს დაცემად, ვისწრაფოთ ბრძოლად ეშმაკისა, უფროდს ყოვლისა ჟამსა ლოცვისასა, რამეთუ მაშინ მოგვჩდის იგი და მოგუასენებნ პირველსა მას კადნიერებასა ჩუენსა ღმრთისა მიმართ, და ჰერხევნ, რამთამცა დაგუახრნნა ლოცვისაგან და ვედრებისა ღმრთისა.

48. ნუ შეურვებულ იქმნები უსასოებითა, დალაცათუ დაეცემოდი ყოველთა დღეთა, არამედ დეგ სიმწნით და გონიერად სინანულსავე შინა, და სთნდეს მოთმინებად შენი ანგელოზსა მას, რომელი-იგი დადგინებულ არს მცველად შენდა, და უეჭუელად შეგენიოს შენ.

49. ნყლულებად ვიდრელა ახალ იყოს, ადვილ არს საკურნებელად; ხოლო დაძუელებულნი და უდებ-ყოფილნი ქნიად საკურნებელ არიან და ფრიადი შრომად და მახვლი, და წამალი და დაწუად უჯმს მათ ამას საწუთროსავე, რამთა არა მუნ დაიწუას მათ მიერ თავადიცა იგი სული.

50. რომელნიმე წყლულებანი უამთა სიგრძესა ვერ განიკურნიან, „ხოლო ღმრთისაგან ყოველივე შესაძლებელ არს“ (მათ. 19,26).

51. პირველ შთავრდომადმდე ცოდვასა ეშმაკნი გუეტყოდიან, ვითარმედ ღმერთი შემნდობელ არს ცოდვათა; და შემდგომად დაცემისა გუეტყოდიან, ვითარმედ ღმერთი მართლმსაჯულ არს.

52. ნუ ისმენ მისსა, რომელი გეტყოდის მცირეთა ცთომათა ზედა, ვითარმედ: „ნეტარ თუმცა იგი რამე დიდი არა გექმნა, თუ არა, ესე არარა არს“; რამეთუ მრავალგზის მცირემან ძლუენმან დიდი გულისწყრომად მსაჯულისად დააცხრვის.

53. რომელი ჭეშმარიტსა სინანულსა შინა იყოს, იგი ყოველსა დღესა, რომელსა შინა არა იგლოვოს, ესრეთ შეურაცხიეს, ვითარმცა წარენყმიდა დღც იგი, დაღაცათუ სხუად რამე კეთილი ექმნას მას შინა.

54. ნუვინ მონანულთაგანი მოელის ჟამსა სიკუდილისასა კეთილად შენანებად და შენდობისა მოლებად, რამეთუ ყოველი საქმც, რომელი უცნაურ იყოს და უჩინო, არა მტკიცე არს.

55. მილხინე მე გულსავსე-ყოფითა შენითა, რათა განვისუენო პირველ წარსლვისა ჩემისა ამიერ იჭუეულად და შიშით (შდრ. ფსალმ. 38,14).

56. უნყოდე, ძმაო, ვითარმედ ვინავცა სული ღმრთისა იყოს, მუნ ყოველნივე საკრველნი ცოდვათანი განჯსნილ არიან.

57. რომლისა თანა იყოს სიმდაბლც სრული, მისთა ცოდვათა კრულებანი განჯსნილ არიან; რამეთუ რომელნი ამათ ორთაგან, რომელნი ვთქუენ, შორს არიან, ნუმცა სცოტბიან, რამეთუ არა განჯსნილ არიან.

58. არაოდეს განიკითხოს, ანუ აბრალოს სხვსა დაცემასა, რომელი თავსა თკსსა იგლოვდეს.

59. უკბინის რად ძალასა მწეცმან, უმეტესად განფიცხის ძალი იგი მის ზედა, და ტკივილისა მისგან ნაკპენისა მის განცოფებულად ჰპრძავნ მას.

60. ვეკრძალეთ, ძმანო, ნუუკუ არა სიწმიდისაგან დაცხრომილ არს სკნიდისი მხილებისაგან, არამედ მოეწყინა და ამისთვის არღარა გუამხილებს.

61. სასწაული მიტევებისად ესე არს, რამთა მარადის კაცსა თანამდებად შეერაცხოს თავი თვისი.

62. არარად არს სწორი წყალობათა და სახიერებათა ღმრთისათა, ამისთვის უკუკ რომელმან სასოებად წარიკუეთა, მან ნებსით მოიკლა თავი თვისი.

63. სულსა, რომელსა აქუნდის სიმდაბლც და გლოვად ცოდვათა თვისთათვის, ესევითარი არა უდებ იქმნას ვიდრე დღედმდე სიკუდილისა, ხოლო რომელნი ამათ ორთაგან კიდე არიან, თავთა თვისთა აცთუნებენ.

64. სასწაული ჭეშმარიტისა სინანულისად ესე არს, რამთა ყოველთა ჭირთა და განსაცდელთა საჩინოთა და უჩინოთა ღირსად შეგუერაცხნენ თავნი ჩუენნი.

65. მოსე შემდგომად ხილვისა ღმრთისა მაყლოვანსა შინა კუალად ეგპტედ მიიქცა, რომელ არს სიბნელც, სადა-იგი ალიზი ფარაონსი იქმნებოდა, არამედ კუალად აღვიდა მაყლოანად და უზეშთაესცა მიიწია. რომელი გულისჯმა-ჰყოფდეს სიტყუასა ამას, არაოდეს წარიკუეთოს სასოებად.

66. დაგლახაკნა იობცა, არამედ კუალად განმდიდრდა ორწილად.

67. უდებთათვის ძნელ არიან შემდგომად აღთქუმისა დაცემანი, რამეთუ უგნებელობისა სასოებასა წარსწყმედენ, და სანატრელ არს მათთვის მთხრებლისა მისგან აღდგომად ოდენ.

68. არა ვიქცეთ კუალად მასვე გზასა, რომელსა შინა ვსცეთით, არამედ მოვედით და სხუად წარვლოთ – მოკლც და ახლოდ.

69. ვიხილენ ორნი ვიწმე, ერთსა უამსა შინა და ერთსა გზასა შინა ღმრთისასა მიმავალნი. და ერთი იგი მოხუცებული იყო და უპირატესი შრომითა, და მეორც იგი მონაფე იყო, და რბილდა მონაფე იგი უწინარეს ბერისა მის, და უსწრო საფლავად სიმდაბლისა.

70. ვეკრძალნეთ ყოველნი და უფროდს ხოლო – დაცემულნი, რათა არა დაემკვდროს გულთა ჩუენთა უღმრთობა თროვინეს სენი, რამეთუ ღმრთისა კაცომოყუარებასა წინაპყოფს ბილწი იგი, და შესაწყნარებელ იქმნების გემოდს-მოყუარეთა და უდებთა მიერ.

71. ზრახვასა ჩემსა და უფროდსლა სინანულსა ჩემსა შინა აღატყდის ცეცხლი ლოცვისად, შემწუველი ნივთსა ვნებათა-სა.

72. საზღვარ და წეს და სახე სინანულისა იყვნედ შენ-და პირველ ჯენებულნი იგი წმიდანი, დილეგსა მას შინა მყოფნი, და არა ფრიად გეწმაროს წიგნი, ვიდრემდის გამო-გიჩნდეს შენ ქრისტე, ძმე ღმრთისად და ღმერთი, აღდგომასა მას სინანულისასა, რამეთუ მისი არს დიდებად თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი-უკუ-ნისამდე. ამინ!

ხუთნი კიბენი აღვივლიან, ჭ, მონანულო, რამეთუ ხუთ-ნი იგი საცნობელნი განგიწმედიან სინანულისა მიერ, და იძულებითისა მისგან საუკუნოდსა სატანჯველისა ნებსით ამასვე საწუთოსა დატანჯვითა თავისა შენისათა განრო-მილ ხარ.

## წსენებისათვს სიკუდილისა

### თავი 6

1. ყოვლისა სიტყვსა წინამდლუარ არს მოგონებად, და ყოვლისა ტირილისა და გლოვისა წინამდლუარ არს წსენებად სიკუდილისად და ცოდვათა თვისთად, ამისთვისცა წესისაებრ თვისთა სიტყუასაცა შინა ჩუენსა დავაწესეთ.

2. წსენებად სიკუდილისად არს მარადლე სიკუდილი.

3. წსენებად სიკუდილისად არს სულთქუმად სამარადისოდ.

4. შიში სიკუდილისად არს საქმიც ბუნებითი, ურჩებისაგან მოწევნული, ხოლო ძრწოლად სიკუდილისაგან სახე არს შეუნანებელთა ცოდვათად.

5. შეეშინა ქრისტესა სიკუდილისაგან, გარნა არა შეძრნუნდა, რადთა ორთავე ბუნებათა თვთებანი გამოაჩინეს.

6. ვითარცა პური უსაჯმარეს არს უფროდ ყოველთა საზრდელთა, ეგრეთვე წსენებად სიკუდილისად უაღრეს არს ყოველთავე გულისსიტყუათა და ნურთათა.

7. წსენებად სიკუდილისად ერსა შორის მყოფთა თანა შობს შრომათა და მოღუაწებათა და შეურაცხებისა თავსდებასა, ხოლო მარტოდმყოფთა თანა – ტკივილსა გულისასა; და დედად მისი არს სიტყბოებად სანატრელი, რომლისაგან იქმნების ზრუნვათა დატევებად და ლოცვად სამარადისოდ და დაცვად გონებისად; და ესე საქმენი არიან მშობელნიცა და ასულნიცა მისნი.

8. ვითარცა ცხადად საცნაურ არს განყოფილებად ბრპენისად ვეცხლისაგან, დაღაცათუ მსგავს მისა არს, ეგრეთვე ცხადად საცნაურ არს გულისწმისმყოფელთა მიერ ბუნებითი და გარეგანი ბუნებისად შიში სიკუდილისად.

9. ესე არს სახც და სასწაული ჭეშმარიტისა წსენებისა სიკუდილისად – შეურაცხებად ყოველთა სოფლისა საქმეთად და ნებისა თვისისა სრულიად დატევებად.

10. რომელი მარადლე მოელოდის სიკუდილსა, იგი ჭეშ-მარიტად გამოცდილი არს, ხოლო რომელსა მარადლე სუ-როდის სიკუდილისათვს, იგი სამართლად წმიდა და სრულ არს.

11. არა ყოველი სიკუდილისა გულისთქუმად კეთილ არს; რამეთუ არიან, რომელნი მარადის სცოთებიან მძლავრებითა ჩუეულებისათა და სიმდაბლით სურის, რათამცა მოიწია სიკუდილი და განერნესმცა საქმისა მისგან; და არიან სხუანი, რომელნი უგულისჯმოებისაგან ინატრიან სიკუდილსა უგუნურებით; და არიან სხუანი, რომელთა სინანული არა ჰნებავნ და სასოწარკუეთილებისაგან სიკუდილად მიისწრაფიან; და არიან სხუანი, რომელთა ამპარტავანებისაგან უვნებელად შეურაცხიან თავნი მათნი და ამისთვის არა ეშინის სიკუდილისაგან; და არიან სხუანი, უკუეთუ ოდენ არიან სადა ან ესევითარნი, რომელთა შორის სული წმიდად დამკვდრებულ არს, და ძალითა მისითა სურის განსლვისათვს ამიერ სოფლით.

12. ვიეთნიმე გამოეძიებენ და იტყვნ, თუ ვინავთგან ესრეთ სარგებელ-მეყოფის ჩუენ წსენებად სიკუდილისაღ, რადასათვს დაფარა ღმერთმან ცნობად უამისად მის წინავსნარვე ჩუენ მიერ? და არა იციან, ვითამედ ესე ქმნა ცხორებისათვს ჩუენისა საკურველად, რამეთუ უკუეთუმცა კაცთა სიკუდილი თვისი წინავსნარ იცოდეს, არამცა ვინ მოვიდოდა პირველ მრავლისა უამისა ნათლისლებად, ანუ მონაზონებად, არამედ ყოველთამცა დღეთა მათთა გარდაპწვდიდეს კაცნი ურჩულოებითა და უამსამცა სიკუდილისასა მოვიდოდეს ნათლისლებად და სინანულად.

13. რაჟამს იგლოვდე, ნუ შეიწყნარებ ეშმაქსა მას, რომელი მოგიკვდეს და გეტყოდის, ვითარმედ: „რად იგლოვ, რამეთუ ღმერთი კაცთმოყუარე არს და თვინიერ გლოვისაცა შეგინდობს“. რამეთუ ესე არს განზრახვად მისი, რათამცა გლოვად და შიში ღმრთისად განაშორა შენგან, გარნა უკუე-

თუ სული სასოწარკუეთილებისაა გმძლავრობდეს, მაშინ ნუ ერიდები ამას გულისაიტყუასა.

14. რომელსა ენებოს მოგებად წსენებისა სიკუდილისაა და წსენებისა ღმრთისაა, და მისცეს თავი თვისი ზრუნვათა და უცალოებათა წორციელთა, მსგავს არს კაცსა, რომელმან შეიკრნის წელნი თვისნი და ენების ცურვად.

15. წსენებამან სიკუდილისამან განკუეთნის გემონი საჭმელთანი, ხოლო რაჟამს ესევითარნი იგი გემონი სიმდაბლით განიკუეთნენ, მათ თანა განიკუეთნიან ვნებანიცა.

16. ულმობელობამან გულისამან განაფიცხის გონებად, ხოლო სიმრავლემან ჭამადთამან განაჯმნის ცრემლთა წყარონი.

17. წყურილმან და მღვდარებამან შეაიწრიან გული, ხოლო რაჟამს გული შეიწრდის და მგლოვარე არნ, ინყიან ცრემლთა დინებად.

18. ესე სიტყუანი ფიცხელ და მძიმე არიან ნაყროვანთათვს და ურწმუნო – მცონართათვს, ხოლო კაცმან, მუშაკმან სიმართლისამან, გამოცადის და პოის საქმეც კეთილისად.

19. რომელმან გამოცდით პოოს, მხიარულ იყოს ამას ზედა, ხოლო რომელი ჯერეთ ეძიებდეს, მწუხარე იყოს, ვიდრემდეს პოოს.

20. ვითარცა სრულსა სიყუარულსა იტყვან მამანი, ვითარმედ: „არასადა დაეცემის“ (შდრ. 1 კორ. 13,8), ეგრეთვე მე სრულსა სიკუდილისა წსენებასა „უშიშად“ სახელ-ვსდებ.

21. მრავალნი არიან მოღუანეთა გონებისა საქმენი, ვითარ: სიყუარული ღმრთისაა, წსენებად ღმრთისაა, წსენებად სასუფეველისაა, წსენებად შურისა წმიდათა მოწამეთადსა, წსენებად ხედვისა ღმრთისაა (ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „წინაღსნარ-ვხედევდ უფალსა წინაშე ჩემსა მარადის“ (ფსალმ. 15,8)), წსენებად წმიდათა მათ და უხილავთა ძალთაა, წსენებად სიკუდილისაა, შემთხუევისა ღმრთისაა, სატანჯველთად და განჩინებისა მის მერმისაა. დიდთა საზომ-

თაგან ვიწყეთ, ხოლო უცთომელთა და დაუცემელთა ზედა დავასრულეთ.

22. მითხობდა ძმად ერთი მეგვპტელი, ვითარმედ: „შემ-დგომად მტკიცედ დანერგვისა გულად ჩემდა წსენებისა მის სიკუდილისა, ვინებე იდესმე ნუგეშინისცემად ჭორცთა ჩემ-თად მცირედ, რამეთუ ესრეთ ჯერ იყო. არამედ წსენებამან მან, ვითარცა აღვრმან დამიმჭირა და დამაყენა საქმისა მის-გან, და საკურველი ესე არს, რომელ ვინებეცა განშორებად მისი და ვერ შეუძლე“.

23. და სხუად ძმად იყო აქა დამკუდრებულ ადგილსა მას, რომელსა ეწოდების თოლა, და მრავალგზის ამის გულის-სიტყვსაგან განლიგნის, და ვითარცა ცნობამიღებული იქმ-ნის, ანუ ვითარცა გულშეღებული, და ვითარცა უსულოდ აღიღიან იგი ძმათა, რომელნი მუნ იპოვნიან.

24. არა დავიდუმო მითხობად შენდა ევსუქისიცა ქო-ზიბელისა საქმც, რამეთუ ესე პირველად იყოფებოდა უდე-ბებით, და არა ზრუნვიდა სულისა თვესისათვეს ყოვლადვე. და ვითარ იყო ესრეთ, მოინია მის ზედა სენი ფიცხელი და აღტაცებულ იქმნა იგი, და ჟამ ერთ ჭეშმარიტებით განვიდა მისგან სული მისი და მერმე მოეგო კუალად თავსავე თვესა, და მევედრა ჩუენ, რომელნი ვიყვენით მუნ, რათა განვიდეთ გარე. და ვითარცა განვედით გარე, აღდგა მეყსეულად და დაყო კარი სენაკისა მისისად და დაჯდა მუნ შინა შეყენებუ-ლად ათორმეტ წელ. და არავის მიუგო სიტყუად ყოვლადვე, არცა მცირე, არცა დიდი, არამედ პურსა ოდენ და წყალსა მიიღებდა დუმილით, და ზინ მარადის, და გონებად მისი აღტაცებულ არნ ხილვათა მათ მიმართ, რომელნი იხილნა, და არნ ესრეთ მგლოვარედ და მჭმუნვარედ, რომელ არა-ოდეს შეცვალა, უწყის უფალმან, წესი და სახც თვესი. არამედ მარადის ვითარცა განლიგებული დგა, და ცრემლნი მწურ-ვალენი მდუმრიად სდიოდიან; ხოლო ოდეს მოინია აღსას-რული მისი, განვალეთ კარი და შევედით და ფრიად ვევედ-

რენით, რაღთამცა მოგვგო სიტყუად. და სხუად არარად, გარნა ესე იდენ მოგვგო, ვითარმედ: „შემინდვეთ მამანო, რამეთუ არავინ არს, რომელმანცა მოიგო წსენებად სიკუდილისად და შეუძლო-მცა მან ქმნად ცოდვისა ოდესმე“. ხოლო ჩუენ გკ-კურდა, რაჟამს ვხედევდით მას, რომელი პირველ ესევითარი იყო და ესრეთ მეყსა შინა შეიცვალა შეცვალებითა მით სანა-ტრელითა. ხოლო მიცვალა რად წმიდად იგი, დავმარხეთ გუამი მისი სამარხოსა მას, რომელ არს მახლობელად მონასტრისა. და შემდგომად დღეთა მცირედთა მოგჰჰადეთ საფლავსა მას, და ვერდარა ვპოეთ წმიდად იგი გუამი მისი, რამეთუ უფალმან მიცვალა იგი, ვინადცა ენება, რაღთამცა ამასცა ზედა გულსავსე-ყყნა ყოველნი, ვითარმედ შეუწი-რავს სინანული მისი, რაღთა არა უსასო იყვნენ ყოველნი, რომელთა პნებავს შემდგომად უდებებისაცა მოსლვად სინა-ნულად.

26. ვითარცა უფსკრულისათვის ზღუათადსა იტყვან, ვი-თარმედ მიუწოდებულ არს, ეგრეთვე წსენებისა სიკუდილისა სიწმიდეცა და საქმცია მიუწოდებულ არს, და გულსავსე-ყყნოს ამას ზედა პირველთქუმულმან ამან წმიდამან.

27. შიშით შიშსა მოიგებენ ესევითარნი დაუცადებელად, ვიდრემდის ძუალთაცა მათთა ძალი განილიოს.

28. გულისჯმა-ვყოთ, ვითარმედ ესეცა ნიჭი არს ღმრთი-სად სხუათა მათ ყოველთა ნიჭთა თანა მისთა, თუ არა, ვი-თარ მრავალგზის საფლავებსაცა მივიდით და უცრემლოდ და განფიცხებულად ვეგნით, და მრავალგზის, თვნიერ ხილ-ვისა რაღსამე ესევითარისა, ღმობიერ ვიქმნით და ვცნით, ვითარმედ ღმრთისა ნიჭი არს იგი ჟამი.

29. რომელი ყოვლისაგანვე წორციელისა საქმისა მოკუ-დეს, მან მოიგოს წსენებად სიკუდილისად; ხოლო რომელი ჯერეთ შეკრულ არს სიყუარულსა საქმეთა და ზრუნვათასა, ვერ შემძლებელ არს დადგომად წსენებასა შინა სიკუდილი-სასა ესევითარი, რამეთუ მტერი არს იგი თავისა თკსისად.

30. ნუ გნებავნ ყოველთა სიტყვით გულსავსე-ყოფად შენისა მათდა მიმართ სიყუარულისათვეს, არამედ უფროღსად ღმრთისაგან ითხოვდი, რათა მან გულსავსე-ყვნეს იგინი გამოუთქმელად. თუ არა, ვერ კმა-გეყვნენ შენ უამნი შენნი წორციელისაცა სიყუარულისა ქონებად და გლოვადცა, რა-მეთუ ესე ორნივე ზოგად ძნიად იპოებიან.

31. ნუ აცთუნებ თავსა შენსა, ჭ, უდებო და უგუნურო მუშაკო, რათამცა დღეს უდებ იქმნებოდე და ხვალემცა აღასრულე დღესისაცა, რამეთუ არა კმა არს დღც თვესსავე თანანადებსა აღსრულებად, ვითარცა ჯერ არს, მეუფისა მიმართ.

32. ვერ შემძლებელ არიან კაცნი სიმართლით გარდაწ-დად დღისა ერთისაცა, გარნა ესრეთ, რათა ყოველსა დღესა ვიტყოდით თითოეული, ვითარმედ: „ესე დღც აღსასრული არს უამთა და წელთა ჩემთავ, და მივალ წინაშე საყდარსა და დალიჭა საშინელსა და შევემთხუევი მსაჯულსა სიმართ-ლისასა“.

33. საკურველ არს, ვითარ წარმართთაცა ესრეთ სთნდა ესე, ვიდრელა თქუეს, ვითარმედ: „სიბრძნც წენებად არს სიკუდილისა“, რომელსა შინა წმიდადმცა ვიპოებით ჩუენ მორწმუნენი მადლითა უფლისათა, რომლისად არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე მეექუსც კიბც არს. რომელი მიიწიოს ამას, მან არ-ღარა-სადა ცოდოს, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „იქსე-ნებდი უკუანასკნელსა მას დღესა სიკუდილისა შენისასა და უკუნისამდე არა სცოდო“ (ზირაქ. 7,39).

## გლოვისათკს

### თავი 7

1. გლოვად ჭეშმარიტი საღმრთოდ ესე არს მჭმუნვარებად სულისად და გული მწუხარც, რომელი მარადის ისურვებნ საქმეთათკს სატკივართა, და ყოველსა უამსა ტრფიალისა მის მიმართ თკისისა წყურიელ არნ, და რაუამს ვერ ეჩიის, ეძიებნ მას ტკივილითა გულისამთა, და შემდგომად მისა გო-დებით ჯობნ, კუნესით და სულთქუმით.

2. გლოვად ჭეშმარიტი დეზი არს ოქროდსად, რომელი ყოველსა უამსა უნერტნ სულსა. და იგი განშიშულებულ არს ყოვლისაგან ამის სოფლისა სიყუარულისა და წორციელისა ნუგეშინისცემისა და ყოველთა ნათესავთა და თკისთაგან. და იგი ოდენ არნ მისდა საქმც, რომელი დაპნერგა გულსა მისსა მწუხარებამან ამან ღმრთისმოყუარემან.

3. გლოვად ტანჯვად არს სკნიდისისად დაუცადებელი, რომელი აღსარებისა მიერ სულიერისა აღაგზებნ ცეცხლსა მას გულისასა.

4. გლოვად დავინყებად არს ბუნებისად, ვითარცა მას ნე-ტარსა დაავინყდა ჭამად პური თკისი, რომელიცა გალობს ამას (შდრ. ფსალმ. 101,5).

5. სინანული ჭეშმარიტი ესე არს განშორებად ყოვლისა-გან ნუგეშინისცემისა წორციელისა შეუწუხებელად.

6. გლოვად ჭეშმარიტი ესე არს სული მჭმუნვარე, ტკივ-ნეული მწურვალებითა გულისამთა და წყურიელი ყოველსა უამსა ძიებასა მისსა, და ოდეს გამოუბრწყინდეს, შრომით მისდევნ მას და ჭირით და მწუხარებით სულთ-ითქუამნ უკუანა მისსა. და რომელი ესრეთ იყოს, იგი არს გლოვად.

7. გლოვად განშიშულებად არს ყოვლისაგან მოსაკიდე-ბელისა ამის სოფლისა, და განშორებად და განყენებად ყოვ-ლისაგან, და შედგომად სრულსა მას მწუხარებასა, კეთილთა

მომატყუებელსა, და რამთა იყოს გული მისი, ვითარცა ის-რისა მიერ მოწყლული განუკურნებელად, მოსურნე საწა-დელისა მის მიმართ.

8. გლოვად მიმდემი გულისსიტყუად არს, რომელი მარა-დის უწერტს გულსა ლმობიერებით აღსარებად ცოდვათა მოტყინარებისაგან მწურვალებისა მისისა.

9. რომელნი ახლად შესრულ იყვნენ გლოვასა მას შინა სანატრელსა და ეწყოს წარმატებად, საქმეს მათი არს მარხ-ვად და დუმილი; ხოლო რომელნი წარმართებულ იყვნენ მას შინა, მათი სასწაული არს ურისხველობად და ძკრუქსენებ-ლობად; ხოლო რომელნი განსრულებულ იყვნენ მას შინა, მათი სასწაული არს სიმდაბლც და წყურილი სუმისათვს კდემისა, და შიმშილი ნებსით ჭირთათვს და განსაცდელთა უნებლივადთა, და სურვილი იწროებისა და მწუხარებისად და დაცვად განკითხვისაგან ცოდვილთავსა, და ტკივილით თანაზიარ-ყოფად ძმათად, რომელნი ჭირსა შინა იყვნენ.

10. შესაწყნარებელ არიან პირველნი იგი და საქებელ არი-ან მეორენი, ხოლო ნეტარ არიან მესამენი და სახარულევან, რომელნი-იგი ნებსით თვისით მშიერ არიან იწროებისათვს და წყურიელ კდემისა და ყუედრებისათვს, რამეთუ ჭეშმარიტად განძლენ იგინი საშუალელთა მათგან განუძლომელთა.

11. შ, რომელსა-ეგე შეგიკრძალავს გლოვად, დაიცევ იგი ყოვლითა ძალითა შენითა, დამოეკიდე მას ფიცხლად, რა-მეთუ უნინარეს დანერგვისა მისისა შენ შორის და ძირთა დაბმამდე მსწრაფლ განგეშოროს და ივლტოდის, არა-თუ კეთილად შეიკრძალო. რამეთუ შფოთისაგანცა და ზრუნ-ვათაგანცა წორციელთა და ფართოებით ცხორებისაგანცა და შუებისა, და უფროდს ხოლო მრავალმეტყუელებისა-გან და განცხრომისა, ვითარცა ცკლი ცეცხლისაგან, ესრეთ მსწრაფლ დადნების და წარვალს.

12. წყარონი ცრემლთანი უდიდეს ნათლისდებისა არიან შემდგომად ნათლისლებისა, დაღაცათუ კადნიერ არს სი-

ტყუად ესე. რამეთუ ნათლისლებად პირველ-ქმნულთა ცოდვათა ჩუენთა განმწმედელ არს, ხოლო ცრემლნი შემდგომად ნათლისლებისა ჩუენისა ქმნულთა ცოდვათა მომტევებელ არიან. და ნათლისლებად, რომელთა სიჩროსა მოვიღეთ, შევაგინეთ, ხოლო ცრემლთა მიერ მასცა განვაახლებთ, რომელ-ესე უკუეთუმცა არა მოცემულ იყვნენ ღმრთისა მიერ, მცირედნიმცა იყვნეს, რომელთამცა პოეს ცხორებად.

13. სულთქუმანი და გლოვად ღალადებენ უფლისა მიმართ, ხოლო სატანჯველთა შიშისაგან მოსრულნი ცრემლნი მეოს არიან ჩუენთვს, ხოლო ყოვლადწმიდისა მის სიყუარულისა მიერ მომავალნი გამოგვცხადებენ და გულსავსე-მყოფენ შეწირვასა ლოცვათა ჩუენთასა.

14. უკუეთუ არარად ესრეთ თანაშემწე ექმნების სიმდაბლესა, ვითარ გლოვად, საცნაურ არს, ვითარმედ არარად ესრეთ წინააღუდგების მას, ვითარ სიცილი.

15. დამოეკიდე, საყუარელო, ყოვლითა ძალითა გლოვასა და ლმობიერებასა მას სანატრელსა, და ნუ დასცხრები მისგან, ვიდრემდის აგამაღლოს ყოველთაგან სოფლისა საქმეთა და განწმედილი ქრისტესა წარგადგინოს.

16. ნუ დასცხრები გამოსახვად გონებასა შინა შენსა წურთად უფსკრულსა მას ცეცხლისა მის ბნელისასა და მსახურთა მათ უწყალოთა, რომელნი მუნ არიან, და მსაჯულსა მას საშინელსა და შესაძრნუნებელსა და თუალუხუავსა, და მღვმეთა მათ და ჯურლმულთა მიუწოდომელთა ალისა მის ქუესკნელისად, და წყუდიადთა მათ საშინელთა ადგილთა, ინრონი იგი შთასავალნი და ბოროტნი, და ყოველთა ამათ ესევითართა იქსენებდი, რადთა ფრიადისა მის შიშისაგან და ძრნოლისა დაშრტეს მწურვალებად იგი ჭორცთა, და შეერთოს გული ჩუენი უხრწნელსა მას სიწმიდესა, რომელი ბრწყინვიდეს უფროდს ცეცხლისა და განანათლებდეს სულსა.

17. დადეგ ლოცვასა შინა შენსა ძრნოლით, ვითარცა ავა-

ზაკი და დაშვილი წინაშე მსაჯულისა, რამთა გარეგანითაცა სახითა და შინაგანითა გულისსიტყვითა დაშრიტო გულისწყრომად მართლისა მსაჯულისა, რამეთუ არა უგულებელს-ჰყოფს იგი სულსა მღლოვარესა, რომელი ვითარცა ქურივი მწუხარებით დგეს წინაშე მისსა და აწყინებდეს მოუწყინებელსა მას.

18. რომელმან მოიგოს გლოვად სულიერი, მისდა ყოველივე ადგილი მარჯუე არს გლოვისა და სულთქუმისათვს; უკუეთუ კულა გარეგანითა სახითა აღასრულებს გლოვასა, მაშა ნუ დასცხრების გამოძიებად ადგილთა და სახეთა მომატყუებელთა გლოვისათა.

19. ვითარცა საუნჯც დაფარული უფროვს შეკრძალული არს, ვიდრელა სავაჭროს უბანთა ზედა მიფენილი, ეგრეთვე პირველთქუმული ესე გლოვისა სახც.

20. ნუ ემსგავსები მათ, რომელთა მკუდარნი დაემარხნიან და ოდესმე გოდებდიან მათ ზედა და ოდესმე სუმიდიან და დაითრვებოდიან მათთვს. არამედ მიემსგავსე მათ, რომელნი საპყრობილესა შინა არიან და მარადლე მტარვალთა მიერ იტანჯებიან.

21. რომელი ერთგზის იგლოვდეს და ერთგზის იცინოდის და განსცხრებოდის, მსგავს არს კაცსა, რომელი პურთა ესრინ ძალლსა მას გემოთმოყუარებისასა, რომელი-იგი სახითა განაძებს მას, ხოლო საქმითა აწუევს მისა მოსლვად.

22. იქმენ, საყუარელო, მჭმუნვარე და ნუ მაჩუენებელ, არამედ გულსა შენსა შინა ოდენ იყავ მჭმუნვარე, რამეთუ ძრნიან ეშმაკი მწუხარებისაგან, ვითარცა მპარავნი – ძალლისაგან.

23. არა-თუ აქა არს ქორწილად წოდებად ჩუენი, შ, საყუარელნო, არამედ მას საუკუნესა. ხოლო აქა – რომელმან-იგი გკნოდა ჩუენ, გლოვად თავთა თესთათვს გკნოდა.

24. რომელნიმე სცრემლოოდინ რად და ტიროდინ, აიძულებენ თავთა თესთა ამაოდ, რამთამცა არარად აქუნდა

გულისსიტყუად ჟამსა მას სანატრელსა, და არა იციან, ვითარმედ ცრემლნი, რომელნი იყვნენ თკნიერ გულისსიტყუსა, პირუტყუსა და არა პირმეტყუელისა ბუნებისა საქმე არიან.

25. ნაშობი კეთილთა გულისსიტყუათად არს ტირილი, ხოლო მამა კეთილთა გულისსიტყუათა არს გონებად პირმეტყუელი, შიშითა ღმრთისათა განტურვებული.

26. იყავნ შენდა სარეცელსა ზედა დაწოლად შენი საფლავსა შინა დაწოლისა გამომსახველ, და მცირედ დაიძინო; და დაჯდომად ტაბლასა შენსა იყავნ შენდა მწარისა მის უკუდავთა მათ მატლთა ტაბლის მომწენებელ, და მცირედ და ზომით უძლო ჭამად.

27. ნუცა, რაჟამს წყალსა შენსა შესუმიდე, დაივიწყებ წყურილსა ალისა მის საუკუნოდსასა, და უეჭუელად აიძულო ბუნებად შენი.

28. ჟამსა შერისხვისა და შეურაცხებისა მოძღურისა ჩუენისასა მსაჯულისა მის საშინელი იგი განჩინებად მოვიწენოთ, და ესრეთ შეუძლოთ მწუხარებისა მის და მრისხანებისა პირუტყუებრივისა სიმშვდითა და მოთმინებითა, ვითარცა ორპირითა მახვლითა, მოწყუედად.

29. „ჟამითა მოაკლდების ზღუასა“ (იობ. 14,11), ვითარცა იტყვს იობ, და ეგრეთვე ჟამითა და მოთმინებითა მცირედ-მცირედ თქუმულნი ესე ჩუენ შორის დაემკვდრებიან და სრულ იქმნებიან და ჩუენ სრულ-გუყოფენ.

30. წსენებად ცეცხლისა მის საუკუნოდსად მარადის დაწვებოდენ და ალდგებოდენ შენ თანა, და ვეროდეს გეუფლოს შენ დაწინილობად ჟამსა ლოცვისასა.

31. მოგიყვანენ შენ გლოვად სახემანცა სამოსლისა შენისამან, რამეთუ შავი გმოსიეს, რომელ-ეგე სახე არს გლოვისად, რამეთუ ყოველნი, რომელნი მკუდართათკს იგლოვდენ, შავსა შეიმოსენ.

32. უკუეთუ არა გაქუს გლოვად, თკთ ამისთკს იგლოვდი, რომელ არა გაქუს გლოვად; უკუეთუ კულა გაქუს გლო-

ვად, ამისთვის იგლოვდ, რამეთუ გარდამოიყვანე თავი შენი უშრომელისა მისგან და პატიოსნისა და სახარულევანისა წესისა საქმედ და სადგურად ჭირისა და ტანჯვისა ცოდვათა შენთათვს, და ამისთვის გილირს მრავალი გლოვად და გოდებად.

33. ვითარცა ყოველსავე საქმესა ზედა სამართალსა საშჯელსა სჯის უფალი ჩუენი, ეგრეთვე ცრემლთა ზედაცა ბუნებისა ძალსა განიკითხავს; რამეთუ ვიხილენ მე ცრემლნი მცირენი, რომელნი, ვითარცა სისხლნი, ტკივილით დაითხეოდეს, და ვიხილენ კუალად ცრემლნი, რომელნი, ვითარცა წყარონი, უშრომელად გარდამოდიოდეს. ხოლო მე შრომისა-ებრ და ტკივილისა ვჰნატრიდი მოღუანეთა მათ, და არა-თუ სიმრავლისაებრ ცრემლთავსა, და ვგონებ, თუ ღმერთსაცა ეგრეთვე იგინი უფროდ სათნო-ეყოფიან, რომელნი შრომით და ტკივილით მცირედ ცრემლოიან, ვიდრელა რომელნი-იგი უშრომელად ფრიად დასთხევენ ცრემლთა.

34. არა სარგებელ არს მგლოვარეთათვს ღმრთისმეტ-ყუელებად და ზრახვად საქმეთა ზეცისათა და საქმეთა რჩულისათა, რამეთუ დაპქსნის ესე ყოველი გლოვასა მათსა, რა-მეთუ ესე მსგავს არს საყდართა ზედა მჯდომარისა; ხოლო რომელი გლოვასა შინა იყოს, მსგავს არს ნაცარსა ზედა და ძაძასა მსხდომარეთა. და ამისთვისცა დავით, დაღაცათუ მოძღუარი და ბრძენი იყო, გარნა იგლოვდა რად, იტყოდა ეს-რეთ, ვითარმედ: „ვითარ-მე ვგალობდე გალობასა უფლისა-სა ქუეყანასა მას უცხოსა?“ (ფსალმ. 136,4), რომელ არიან ვნებანი, წარმტყუენველნი სულისანი.

35. რაჟამს სული თავით თვისით, თვინიერ მოსწრაფები-სა და შრომისა ჩუენისა ლმობიერ და მტირალ იქმნის, და მოსდიოდიან თუალთა ჩუენთა ადვილად ცრემლნი, მაშინ ვისწრაფოთ, რამეთუ უფალი ჩუენი უხდელად მოვიდა და მოგუცა ჩუენ ღრუბელი განსასუენებელად და წყალი ცხო-რებისად, რომელ არიან ცრემლნი განბანად ცოდვათა ჩუენ-

თა, რომელი არიან დაწერილ ჭელითწერილსა მას საქმეთა ჩუენთასა.

36. ვითარცა გუგად თუალისად, შეიკრძალე, ძმაო, ეგევი-თარი ჟამი, ვიდრე მიფარვადმდე თავით თვისით, რამეთუ ფრიად უმეტესი ძალი აქუს მას სარგებელად ჩუენდა, ვი-დრედა მოსწრაფებითა ჩუენითა მოგებულსა.

37. არა-თუ რომელი ოდესცა ენებოს, იგლოვდეს, იგი მი-წევნულ არს სიკეთესა გლოვისასა, არამედ – რომელი რო-მელსა საქმესა ზედა ენებოს. არცა რომელი რომელსაცა საქმესა ზედა ენებოს, არამედ რომელი ვითარცა ენებოს, ეგ-რეთ იგლოვდეს, მას აქუს ჭეშმარიტი გლოვად.

38. მრავალგზის საღმრთოსა მას გლოვასა ჩუენსა თანა-შეერთვის უმადლოდ იგი ცუდადზუაობისა ვნებად, ხოლო ესე მაშინ გულისჯმა-ვყოთ კეთილად, რაჟამს ვიგლოვდეთ და ვნებანი გუძლევდენ-ვე, მაშინ ვცნათ, ვითარმედ ზუაობისა ვნებად არს ჩუენ თანა.

39. გლოვად ჭეშმარიტი არს ტკივილი გულისად, რომელი ყოვლადვე არა მიდრკებოდის შუებასა და განცხრომასა, და გემოთა განსასუენებელთა საჭმელთასა, არამედ ოდენ ყო-ველსა ჟამსა სიკუდილსა თვისსა ხედვიდეს და ნუგეშინისცემასა მას ღმრთისასა (რომელი ნუგეშინის-სცემს მდაბალთა მონა-ზონთა) მოელოდის, ვითარცა წყალსა გრილსა – წყურიელი.

40. რომელთაცა ტკივილითა გულისადთა ჭეშმარიტი გლოვად მოიგეს, მათ ცხორებადცა ესე მოიძულეს, ვითარცა საჭიროდ რამე და ცრემლთა და საღმობათა მომატყუებე-ლი, ხოლო წორცთა თვისთა მიმართ, ვითარცა მტერნი, იყვ-ნეს მაჭირვებელ.

41. რაჟამს ვიხილოთ მგლოვარეთა თანა მრისხანებად და ამპარტავანებად, მათნი ცრემლნი და გლოვად ცოლმილად შევრაცხოთ, რამეთუ „რად ზიარებად არს ნათლისა ბნელისა თანა?“ (2 კორ. 6,14).

42. შვილი გლოვისა ცოლმილისა და მტყუარისად არს

ზუაობად, ხოლო შვილი ჭეშმარიტისა გლოვისად არს ნუგე-შინისცემად ღმრთისამიერი.

43. ვითარცა ცეცხლი დამწუველი უჩინომყოფელ არს ლერნმისად, ეგრეთვე ცრემლნი წმიდანი – ყოვლისავე გესლისა და ვნებისა სულიერისა.

44. იტყვან მამანი, ვითარმედ ცრემლნი ჭეშმარიტნი ძნიად მოსაპოვნებელ არიან, და უფროვსლა – ახლად-მოს-რულთა მიერ, რამეთუ მრავალთა და თკთოფერთა სახეთა-გან იქმნებიან, ვითარ ბუნებისაგან, და ღმრთისაგან, და განსაცდელთა მიერ, და მწუხარებისაგან წინააღმდეგომი-საცა და კეთილისაცა, და ზუაობისაგან, და სიყუარულისა-გან, და წსენებისაგან სიკუდილისა და სხუათა მრავალთა-გან. ხოლო ჩუენ, რაჟამს ესე ყოველი გამოვიძიოთ, წმი-დანი იგი და უზაკუელნი ცრემლნი მოვიპოვნეთ, რომელნი იყვნენ წსენებისაგან სიკუდილისა, რამეთუ არა არს მათ თანა ცოთომად ანუ ზუაობად, არამედ უფროვსად განწმედად და აღორძინებად სიყუარულისა ღმრთისად, და ცოდვათა აღ-ჯოცად და ვნებათაგან უვნებელობად.

45. რაჟამს იწყიან ცრემლთა კეთილისაგან და გარდაიქ-ციან ბოროტად, არა საკურველ არს ესე, არამედ ესე არს საკურველ და ლირს ქებისა, რაჟამს ბოროტა ცრემლთა იწყონ დინებასა, გინა-თუ ბუნებითა, და მერმე გარდაიქ-ცენ იგინი კეთილად, და ესე სიტყუად კეთილად იციან მათ, რომელნი ამპარტავანებისაგან იძლევიან.

46. ნუ მიენდვები ცრემლთა შენთა პირველ სრულიადისა სიწმიდისა, რამეთუ არა სარწმუნო არს ღკნოდ, რაჟამს ოდენ საწნეხელისაგან დიოდის, არამედ რაჟამს დაძუელდეს და განურყუნელად ეგოს.

47. ამას ზედა არავინ მაცილობელ არს, ვითარმედ ყო-ველნივე საღმრთონი ცრემლნი ჩუენნი სარგებელ არიან, გარნა თუ რად არს სარგებელი მათი, უამსა სიკუდილისასა გულისჯმა-ვყოთ.

48. რომელი სამარადისოსა გლოვასა შინა იყოს სოფელ-სა ამას ნებისაებრ ღმრთისა, ეგევითარი მარადლე სულიერად დღესასწაულობს; ხოლო რომელი წორციელთა დღესასწაულთაგან არა დასცხრების, ეგევითარსა საუკუნოდ გლოვად მოელის.

49. არა არს ავაზაკთა საპყრობილესა შინა სიხარული, და არცა ჭეშმარიტთა მონაზონთა დღესასწაული ქუეყანასა ზედა; და ნუუკუე ამისთვის იტყოდა სულთქმით კეთილად მგლოვარე იგი, ვითარმედ „აღმოიყვანე საპყრობილით სული ჩემი“ (ფსალმ. 141,8), რათა იხარებდეს იგი გამოუთქუმელითა მით ნათლითა შენითა.

50. იყავ ვითარცა მეუფუ გულსა შინა შენსა მჯდომარც, აღმაღლებული სიმდაბლისა მიერ და უბრძანებდი წელმწიფებით სიცილსა მას მწარესა წარსლვად და წარვიდეს; და ტირილსა მას ტკბილსა – მოსლვად და მოვიდეს; და მონათა ამათ და მძლავრთა წორცთა ჩუენთა – ქმენ ესე და ქმნან.

51. რომელი შებლარდნილ არს გლოვითა ამით სანატრელითა და სახარულევანითა, ვითარცა სიძც – ზენრითა, ესევითარსა მოუგიეს ჭეშმარიტი იგი სიხარული სულიერი.

52. ვინ-მე არს ესევითარი მონაზონი, რომელმან განვლნა დღენი ცხორებისა მისისანი მონაზონებასა შინა მისსა მოშიშებითა ღმრთისათა და ჭეშმარიტითა სინანულითა და კეთილად მსახურებითა, და არცა დღც ერთი, არცა ჟამი ერთი დააკლო და არცა წამსაცა შინა თუალისასა არა დაშტირდა სარგებელი თვესი, არამედ ყოველნი ჟამნი და დღენი მისნი საღმრთოდ აღასრულნა, და გულისქმა-ჰელოფნ მარადლე, ვითარმედ შეუძლებელ არს მის დღისა კუალად მოსლვად, რომელი გარდავალს, და ამისთვის ისწრაფინ, რათა არა ცუდად გარდაპჴადოს იგი.

53. ნეტარ არს მის მონაზონისა, რომელი დაშურა ყოველთა დღეთა სიმდაბლით და ღმრთისმსახურებით აღასრულნა ჟამნი თვესი, და არა პოვა განსუენებად ჟამ ერთცა, არამედ

განიზრახავნ და იტყვინ, ვითარმედ: „ესე არს უკუანადსკნელი დღიც დღეთა ცხორებისა ჩემისათავ სოფელსა ამას“.

54. ნეტარ არს მის მონაზონისა, რომელი შემძლებელი იყოს თუალითა გონებისადთა ხედვად მარადის ძალთა მათ უხილავთა; ხოლო სანატრელ არს იგიცა და დაუცემელ ჭეშ-მარიტად, რომელი ხილულთა ამათ თუალთა მიერ მარადლე ღაწუთა თვესთა დაალტობდეს წსენებისაგან სიკუდილისა ცრემლითა მით სანატრელითა. და მე ვჰვინებ, ვითარმედ არცა პირველ თქუმული იგი საზომი იპოოს სადა თვინიერ მეორისა მის.

55. ვიხილენ გლახაკნი, მაწყინებელნი სიტყვთა მკურცხ-ლითა რადმე და ადრე მოდრიკნეს გულნი მეფეთანი წყალო-ბად და ტკივილად მათ ზედა. და ვიხილენ კუალად გლახაკნი და დავრდომილნი სათნოებათაგან, რომელთა არა მკურცხ-ლითა, არამედ უფროვს მდაბლითა და საწყალობელითა სი-ტყვთა ქენებისადთა, სიღრმეთაგან გულისათა, და ვითარცა სულისა მიერ განწირულისა, მეუფისა მიმართ ზეცათადსა ურცხვნელად და ტკივილით ღალადებდეს, და იძულებითა მით მათითა უიძულებელი იგი სახიერებად და ბუნებად მისი ტკბილი აიძულეს შეწყალებად მათდა.

56. რომელი ცრემლთა ზედა თვესთა ზუაობდეს და გა-ნიკითხვიდეს მათ, რომელნი არა ტიროდინ, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან მიიღო მახვლი მეფისაგან მოკლვად მტერთა თვესთა, და დაუტევა ბრძოლად მტერთად, და მითვე საჭურველითა სცა გულსა თვესსა და მოაკუდინა თავი თვესი.

57. არა-თუ ღმერთსა უწმს, შ, საყუარელნო, რადთამცა კაცი ტკივილითა გულისადთა იგლოვდა და ტიროდა, არამედ უფროვსად ჰნებავს, რადთა სიყუარულითა მისითა იხარებ-დეს სული მისი.

58. საყუარელო, მოსპე ცოდვად სრულიად შენგან და არ-ღარა გიჩმდენ ცრემლნი, რამეთუ არა ექმარების კურნებად, რომლისა თანა არა იყოს მიზეზი სენისად.

59. არა იყო ადამს თანა პირველ მცნებათა გარდასლვისა ცრემლი, ვითარცა-იგი არცა შემდგომად აღდგომისა ყოფად არს მართალთა თანა, რაუამს განქარდეს ცოდვად სრული-ად, რამეთუ არა არს მუნ სალმობად და მწუხარებად და სულ-თქუმბად.

60. ვიხილე რომელთამე თანა გლოვად, და ვიხილე სხუა-თა თანა გლოვად ამისთვის, რამეთუ არა აქუნდა გლოვად. და აქუნდა მათ გლოვად, და ჰერცოგებდეს, თუ არა აქუს და კე-თილითა მით უმეცრებითა აღზუაველად ეგნეს. და ესენი არიან, რომელთათვის თქუმულ არს, ვითარმედ: „უფალმან განაბრძნის ბრმანი“ (ფსალმ. 145,8).

61. მრავალგზის სუბუქნი გონებითა აღზუავნებიან ცრე-მლთა ზედა, და ამისთვის ვიეთმე არა მიეცემის, რომელნიცა ძიებასა მათსა თავთა თვისთა აპრალებენ, და დაშვიან სულ-თქუმითა და მჭმუნვარებითა და მწუხარებითა სულისამთა და ტკივილითა გულისამთა, და ესევითარნი სახენი შეერაც-ხებიან მათ წინაშე უფლისა, ვითარცა ცრემლნი, დაღაცათუ იგინი არა ესრეთ ჰერცოგენ და არცარად შეურაცხიან ესევი-თარნი სახენი.

62. უკუეთუ განვიცადოთ, ვპოოთ საქმი საცინელი, რო-მელსა იქმან ეშმაკნი ჩუენ ზედა, რამეთუ მრავალგზის, რა-ჟამს განვძლით, ლმობიერ-მყვნიან, და რაჟამს ვიმარხვიდით, განგვთიცხნიან გულნი, რამთამცა ამაოთა მათ და მტყუარ-თა ცრემლთა მიერ ვსცეთით, და მივსცენითმცა თავნი ჩუ-ენნი შუებად, რომელი დედად არს ყოველთა ბოროტთად. ხოლო ჩუენ გკლირს, საყუარელნო, რამთა არა შევიწყნაროთ ზაკუვად მათი, არცა მივერჩდეთ, არამედ უფროდსად წინა-აღუდგებოდით ყოვლითა გულითა და გონებითა ჩუენითა.

63. გულისკმა-ვჰეყოფ მე ბუნებასა მას ლმობიერებისასა და განკურვებულ ვარ, ვითარ გლოვად და მწუხარებად ეწო-დების, და იგი სულსა შინა სიხარულითა და მხიარულები-თა შეზავებულ არს და, ვითარცა თაფლი გოლეული, ტკბილ

არს. ხოლო რასა ვისწავებთ ამისგან, გარნა ამას, ვითარმედ ჭეშმარიტად ღმრთისა ნიჭი არს ესევითარი იგი ღმობიერებად სანატრელი.

64. არა იპოებინ მაშინ სულსა შინა სიტკბოებად გულის-თქუმისად მწარც, რაჟამს ნუგეშინისმცემელი იგი შემუსრ-ვილთად შინაგან გულსა შინა დამკუდრებულ არნ.

65. ვისმინოთ, ძმანო, საქმც სარგებელი სულისად და მომყვანებელი ღმობიერებად და სინანულად: იყო აქა ბერი ვინმე, სახელით სტეფანე, რომელსა აქუნდა ცხორებად მე-უდაბნოებისა და მყუდროებისა, და დაეყვნეს მონაზონება-სა შინა მრავალნი წელნი, და შემკობილ იყო მარხვითა და ცრემლითა, და სხვთა მრავლითა ქველისსაქმითა სავსე იყო. და იყო სენაკი მისი მთასა სინასა, საყოფელსა წმიდისა და ღმრთისმხილველისა ელია წინავსნარმეტყუელისასა, მთასა მას წმიდასა. ხოლო გულმან უთქუა მას სინანულსა უაღ-რესსა და უზეშთაესსა, და წარვიდა საყოფელსა მძოვართა-სა, ადგილსა, რომელსა ეწოდების სიდი, რომელ არს ჭირი, რომელი შორავს მონასტერთა სინისათა სამეოცდაათითა მილიონითა, ადგილსა, რომელსა არა არს ყოვლადვე ნუგე-შინისსაცემელი, არცა გზად კაცთად ყოვლადვე. და იყო მუნ იწროებით, ცრემლითა და სინანულითა ფიცხლითა. ხოლო შემდგომად ჟამთა მრავალთა, მოვიდა რად იგი დიდად სი-ბერედ, კუალად იქცა თვესსავე სენაკსა ამას წმიდასა მთასა სინასა, სადა-იგი ესხნეს ორნი მონაფენი პალესტინელნი, ღმრთისმოშიშნი ფრიად, რომელნი იმარხვიდეს თავთა მათ-თა სიწმიდით.

66. ხოლო დაყვნა რად მუნ ბერმან მცირედნი დღენი, დასწეულდა, რომელსაცა შინა შეისუენა. და უნინარეს გარ-დაცვალებისა მისისა დღითა ერთითა, აღტაცებულ იქმნა გონებად მისი, და თუალნი მისნი ეხილნეს, და ხედვიდა იგი მარჯუენით და მარცხენით ცხედრისა მის, და რომელნი სხდეს მუნ, ესმოდა ზრახვად მისი, რამეთუ ვითარმცა ვიეთ-

განმე განიშვებოდა. ოდესმე თქვს, ვითარმედ: „ჰე, მართალ, გარნა ამისთვის მიმარხავნ ეგოდენი წელნი“; და კუალად თქვს: „არა ჭეშმარიტსა იტყვთ, არამედ სტყუით, რამეთუ არა მიქმნიეს ესე, რომელსა მწამებთ“; და კუალად თქვს: „მართალ, გარნა ამისთვის ვტიროდე და ვპოვასურებდ“; და კუალად თქვს, რამეთუ: „არა მართალსა იტყვთ, არამედ სტყუით ჩემ ზედა“; და ოდესმე თქვს: „ჰე, ჭეშმარიტად, ჰე, მართალსა იტყვთ, და ამისთვის არად მაქუს, რაღმცა მოგიგე, გარნა წყალობად ღმრთისად მაქუს შემწედ ჩემდა“. და იყო ხილვად საშინელი და შესაძრნუნებელი, საშჯელი შეუნდობელი და უხილავი. და უსაშინელესი ესე არს, რომელ რად არა ექმნა, მასცა სწამებდეს.

67. ეპა საკურველი, რამეთუ დაყუდებული იგი და განშორებული იტყვოდა რომელთამე ცოთომათა მისთა ზედა, ვითარმედ: „ამას ზედა არად მაქუს, რაღმცა მიგიგე“ – რომელსა დაეყო მონაზონებასა შინა ორმეოცი წელი და აქუნდა ტირილი და გლოვად ფრიადი.

68. ვაღმე, ვაღმე, საყუარელნო! სადა იყო მაშინ სიტყუად იგი ეზეკიელ წინაღსნარმეტყუელისად, რაღთამცა ეთქუა მათდა, ვითარმედ: „რომელსაცა ზედა გპოო, განგიკითხო შენ – თქუა უფალმან“ (შდრ. ეზეკ. 33,13-16). ჭეშმარიტად, ვერარად თქუა ესევითარი. რაღსათვის-მე, ჭ, ძმანო? დიდებად მხოლოდსად მის, რომელმან უნყის.

69. და ვიეთმე მითხრეს: „უწყის უფალმან, ვითარმედ წელითა თქსითა სცემდა საზრდელსა ვეფხთა და ლომთა და აფთართა უდაბნოსა გარე“. და ესევითარითა განკითხვითა განეშორა წორცითაგან. და თუ რად იქმნა საშჯელი მისი, ანუ ვითარი განჩინებად გამოვიდა მის ზედა, ანუ რად იქმნა ალსასრული განკითხვისად მის, არა საცნაურ-ყო.

70. ვითარცა დედაკაცმან ქურივმან, რომელმან ქმარი თქსი დაჲფლის, და ყავნ ძჲ მხოლოდშობილი, და შემდგომად ღმრთისა იგი აქუნ ნუგეშინისსაცემელად, ეგრეთვე სული,

რომელი შთავრდომილ იყოს ცოდვასა, არა არს სხუად ნუ-გეშინისცემა მისი ჟამსა სიკუდილისასა, გარნა შრომად შიმ-შილისა და წყურილისად და ცრემლნი.

71. ნუმცა ოდეს გალობენ წმატკბილობით ესევითარნი თავით თქსით, რამეთუ გლოვისა მავნებელნი არიან ესევი-თარნი საქმენი, და უკუეთუ ესევითართა მიერ გენებოს მო-ნოდებად გლოვისად, უმეტესად განგეშოროს; რამეთუ გლო-ვად არს განმტკიცებული ტკივილი სულისა მწურვალისად.

72. მრავალთა თანა წინამორბედ უვნებელობისა იქმნა გლოვად, რაჟამს მოსპო ვნებათა ნივთი და განწმიდა სული.

73. მითხრა ვინმე გლოვისა გამოცდილმან მუშაკმან, ვი-თარმედ: „ოდეს ვინები მიდრეკად ცუდადდიდებისა მიმართ, ანუ გულისწყურომისა, ანუ მუცლისა აღვსებისა, გულის-სიტყუად იგი გლოვისად მინერტნ შინაგან და მეტყვენ: ‘ნუ მიერჩი ამათ ესევითართა საქმეთა, თუ არა – ვივლტოდი მე შენგან’. ხოლო მე მიუგი და ვპრეკ მას: ‘არა ურჩ გექმნე შენ, შ, მოყუასო, ვიდრე არა წარმადგინო წინაშე უფლისა ჩუენი-სა იესუ ქრისტესა’“.

74. უფსკრულმან გლოვისამან ნუგეშინისცემად პოვა, ხოლო სიწმიდემან გულისამან შეიწყნარა ბრწყინვალებად საღმრთო. ხოლო ბრწყინვალებად არს ძალი გამოუთქმე-ლი, რომელი იცნობების უცნაურად და იხილვების უხილა-ვად.

75. ნუგეშინისცემად არს განსუენებად სულისა ტკივნეუ-ლისა და დამაშურალისად, რომელი ვითარცა ჩჩკლი, ტირნ მას შინა და ბრწყინვალედ იცინინ.

76. განსუენებად არს აღმართებად სულისა დადრეკილი-სად მწუხარებითა, რაჟამს ცრემლნი იგი სალმობისანი სიხა-რულისად შეიცვალნიან საკურველებით.

77. ცრემლთა, რომელნი წსენებითა სიკუდილისადთა იყვ-ნიან, შვეს შიში, და შიშმან შვა უშიშობად, და მერმე გამო-ბრწყინდა სიხარული. და რაჟამს სიხარული იგი დაუსრულე-

ბელი სრულ იქმნა, გამოჩენდა ყუავილი იგი ბრწყინვალისა მის სიყუარულისად.

78. შემუსრე თავი თკსი სიმდაბლითა და იტყოდე გულ-სა შინა თკსაა, ვითარმედ: „არა ღირს ვარ სიხარულსა ამას, რომელი-იგი მოიწეოდის შენ ზედა“, რაღთა არა იყო ად-ვილად შემწყნარებელ, და შეიწყნარო მგელი მწყემსისა წილ.

79. ნუ შეიწყნარებ ხილვათა, რაჟამს არა იყოს ჟამი ხილ-ვათად, არამედ მოითმენდ, ვიდრემდის თკთ იგი გეძიებდენ სიმდაბლისა შენისათკს, და მიგდევდენ და გეწინენ, და მიაღ-სასრულადმდე უკუნისადმდე შენ თანა იყვნენ საქორწინესა მას წმიდასა და სულიერსა.

80. პირველად, ოდეს იცნის ყრმამან მცირემან მშობელი თკსი, იშუებნ და აღივსის სიხარულითა, ხოლო რაჟამს გა-ნეშორის მისგან ჟამ ერთ და კუალად მოვიდის, მაშინ აღივ-სის ყრმად იგი სიხარულითა და მწუხარებითა: სიხარულითა – რამეთუ იხილა სასურველი იგი; ხოლო მწუხარებითა – რამეთუ მოაკლდა ჟამსა მას ყოველსა კიდე-ყოფისასა სიხა-რული იგი.

81. დაემალის დედად შვილისაგან თკსისა, და ეძიებნ რად იგი მწუხარებით, ხედავნ მას დედად იგი და იხარებნ, და ესრეთ ასწავის, რაღთა არაოდეს განეშორებოდის მას. „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“ (მათ. 13,9), სიტყვ-საებრ უფლისა ჩუენისა.

82. არა აქუნ ზრუნვად, რომელსა ზედა გამოჯდის ბრძა-ნებად სიკუდილისად, თუ ოდეს იქმნების მღერად, არცა მი-ერჩინ ჭეშმარიტი მონაწული და მგლოვარც გემოთმოყუ-არებასა, ანუ ცუდადდიდებასა, ანუ გულისწყრომასა და მრისხანებასა.

83. გლოვად ტკივილი არს მტკიცტ სულსა შინა მონა-ნულსა, რომელი დღითი-დღე დართავნ ტკივილსა ტკივილ-თა ზედა, ვითარცა-იგი სალმობად შობადისად დაერთვის ტკივილსა ზედა.

84. მართალ არს უფალი და სიმართლეში უყუარს, რამეთუ ჭეშმარიტსაცა დაყუდებულსა ჭეშმარიტსა გლოვასა მის-ცემს, და ჭეშმარიტსაცა მორჩილსაცა მარადლე ახარებს და ნუგეშინის-სცემს.

85. რომელი ამათ ორთავე წესთაგანსა, რომელსაცა ჯე-რისაებრ აღასრულებდეს, იგი გლოვისაგან საუკუნოდა გან-რომილ არს.

86. განდევნე ძალლი იგი, რომელი უამსა გლოვისა შე-ნისასა მოგიწედეს და ღმერთსა უწყალოდ და შეუნდობელ-ად სახელ-სდებდეს, რადთამცა განწირულებასა შთაგაგდო. რამეთუ იგივე, უკუეთუ გულისქმა-ჰყო, პირველ ცოდვი-სა მოგიწედების და ღმერთსა მოწყალედ და შემნდობელად უწესს.

87. სამარადისოდ წსენებად სიკუდილისად შობს შიშსა, და შიში იგი მოიყვანებს გლოვასა, ხოლო რაჟამს გლოვად ჩუეულებითა დაემტკიცოს სულსა შინა, ვითარცა ბუნებად შეექმნების და ძნიად წარმავალ არს.

88. დაღაცათუ დიდთა მოღუანებათა აღვასრულებ-დეთ, ხოლო გული ჩუენი ულმობელად იყოს, უწყითმცა, ვითარმედ ვსცთებით, რამეთუ სამართალსა ვიტყვ, ძმანო, ვითარმედ: რომელთა შემდგომად ნათლისლებისა წორცნი მათი შეაგინეს, ულირს ეგევითართა კუალად ნათლისლე-ბად ცრემლითა სინანულისადთა და ცეცხლითა მწურვალები-სადთა და წყალობითა ღმრთისადთა.

89. ვიხილე მე ვიეთმე თანა სრული იგი საზღვარი გლო-ვისად, რამეთუ ტკივილისაგან გულისა მათისა სისხლსა აღ-მოჰყრიდეს პირით ცემითა მკერდისადთა. და მომექსენა სი-ტყუად იგი, რომელი იტყვს, ვითარმედ: „იგუემა ვითარცა თივად და განვემა გული ჩემი“ (ფსალმ. 101,5).

90. ცრემლნი, რომელნი შიშისაგან იყვნენ, მათ თავით თკსით აქუს ძრწოლად და დაცვად, ხოლო ცრემლნი სიყუა-რულისანი, ვიდრე სრული იგი სიყუარული არა მოსრულ

იყოს, ადვილად-რე წარსაპარველ არიან, გარნა-თუ ცეცხლი მწურვალებისად უზომოდ ეგზებოდის გულსა შინა ჟამსა დინებისა მათისასა, და საკურველ არს, ვითარ უმდაბლესი იგი საზომი უუცთომელეს არს ჟამსა თკსასა.

91. არიან რომელნიმე ნივთნი, რომელნი განაწმობენ წყაროთა ჩუენთა; და არიან სხუანი, რომელნი არა განაწმობენ, არამედ მწკრესა და მწეცთა შობენ წყაროსა მას შინა. და პირველთა მათ ნივთთა მიერ ლოთ ასულთა თკსთა თანა ურჩულოდ დაეცა, ხოლო მეორეთა მათ მიერ ეშმაკი ზეცით გარდამოვარდა.

92. რავდენ მრავალ არიან უკეთურებანი მტერთა ჩუენთანი, ვითარ მანქანებითა მათითა მრავალგზის მშობელთა მათ სათნოებისათა მშობელ უკეთურებისა ჰყოფენ, და სიმდაბლისა მომატყუებელთა მათ ნივთთა ამპარტავანებისა მომატყუებლად გამოაჩინებენ.

93. მრავალგზის მომატყუებელ ცრემლთა და ლმობიერებისა გუექმნების უდაბნოს გარე ყოფად, და ისნავე ესე იესუსებან, უფლისა ჩუენისა, და ელიასებან და იოვანესებან ნათლისმცემელისა, რამეთუ უდაბნოსა უკაცრულსა განეშორებოდეს ლოცვად.

94. ვიხილენ მე შფოთთაცა შორის და ქალაქთა აღძრულნი ცრემლნი, ხოლო ამას ამისთვის იქმან მტერნი, რაღთამცა ვჰგონებდით, ვითარმედ არარად გუევნების შფოთთაგან, და ესრეთ სოფელსამცა მივეახლენით. და ესე ჭეშმარიტად ზაკულება და ლონე არს ეშმაკთად.

95. მრავალგზის ერთმან სიტყუამან განაბნის გლოვად, ხოლო საკურველ არს, უკუეთუ ერთმანლა სიტყუამან შემოიკრიბოს იგი.

96. არა საპრალობელ ვიქმნეთ, საყუარელნო, ჟამსა სიკუდილისასა, ვითარმედ არა ვქმნენით სასწაულნი და არა ღმრთისვმეტყუელებდით და არა ვიყვენით უხილავთა მხილველნი, არამედ სიტყუად მიცემად გვიც ღმრთისა, თუ

რად არა მარადის ვიგლოვდით. და ამისთვის გკლირს, ძმანო, რახთა ვტიროდით და ვიგლოვდეთ მარადის ცხორქებისათვის ჩუენისა, და მივივლტოდით წინაშე ღმრთისა, რომლისად არს დიდებად ან და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ!

ესე მეშვდტ კიბტ არს. რომელი ამას ღირს-ქმნულ არს, მეცა შემწე მეყავნ, რამეთუ მას არღარა ექმარების შემ-ნტ, ვინახთგან მეშვდისა მის კიბისა მიერ შვდეულთა ამის საწუთროესა დღეთა შინა მოწევნულნი ვნებათა ბილწებანი განუბანიან და წმიდა-ქმნილ არს.

## ურისხველობისათვის და გულისწყრომისა

### თავი 8

1. ვითარცა წყალი დაშრეტსა ალსა ცეცხლისასა, ეგრეთვე ჭეშმარიტისა გლოვისა ცრემლნი ყოველსავე ალსა გულისწყრომისა და მრისხანებისასა დაშრეტენ. ამისთვისცა შეუდგინეთ გლოვისასა განშორებად გულისწყრომისად.

2. ურისხველობად არს გულისტქუმად ყუედრებისა და კდემისად განუძლომელი, ვითარცა-იგი რომელთა უყუარს ცუდი დიდებად და არა განძლებიან ქებითა კაცთადთა.

3. ურისხველობად ძლევად არს ბუნებისად და უტკივარობად გინებათათვის, მოგებული მრავლითა ოფლითა და მოღუანებითა ფრიადითა.

4. სიმშვდე არს წესი აღუძრველი სულისად, რომელი გინებათა ზედა და ქებათა ერთად არნ.

5. დასაბამი ურისხველობისად არს დუმილი ბაგეთად გულითა აღძრულთა, და საშუალი არს დადუმებად გულისისიტყუათად წულილადითა აღძრვითა სულისადთა; ხოლო აღსასრული არს აღუშფოთებელი დაწყნარებად ბერვასა შინაქართა არაწმიდათასა.<sup>29</sup>

6. რისხვად აღძრვად არს სიძულილისა ფარულისად და ძკრისენებისა უჩინოდასა.

7. გულისწყრომად გულისტქუმად არს ბოროტის-ყოფისათვის მარისხებელთა მიმართ მისთა.

8. სიცხარც განკურვება არს გულისად უჟამო.

9. განმწარებად აღძრვად არს დანერგული სულსა შინაუგემური.

<sup>29</sup> „ბნელისა ქარად“ უკეთურებისა გულისიტყუათა იტყვს. (ხელნაწერთა ტექსტებში მითითებული არაა, თუ რომელ მუხლს ეკუთვნის ეს განმარტება).

10. გულისწყრომად არს მეყსეული აღშფოთებად დაწყნარებულებისაა, და უშუერებად არს იგი სულისაა.

11. ვითარცა-იგი გამოჩინებითა ნათლისადთა უჩინო იქმნების პნელი, ეგრეთვე გამოჩინებითა სიმდაბლისადთა ყოველი შფოთი და გულისწყრომად უჩინო იქმნების.

12. რომელიმე კაცნი არიან, რაუამს განრისხნენ, მეყსა შინა კუალად დასწყნარდებიან, და ამისთვის უდებ არიან ღწოლად და განკურნებად ვნებისა მის მათისა, და არა მოიტიქებენ უბადრუკნი სიტყუასა მას, რომელი წერილ არს, ვითარმედ: „წამი იგი გულისწყრომისა მისისაა არს დაცემა მისდა“ (შდრ. ზირ. 1,22).

13. რომელიმე წისქვლი მალე არს და წამსა შინა უმეტეს დაპფქავს, ვიდრელა სხუად – დღე ყოველ, და მსწრაფლ შეჰმუსრავს იფქლსა მას და ყოველსავე ნაყოფსა სულისასა, და ამისთვის თანა-გუაც კრძალვად ფრიადი.

14. მრავალგზის იქმნის აღტყინებად ალისა დიდისად სიმძაფრისაგან ქარისა, რომელმან ერთსა წამსა უფრო მოწვეს და მოაწყრის ყანად სულისად, ვიდრელა სხუამან ნებიერად აღგზებულმან ალმან – დღე ყოველ.

15. ნუმცა ამას უმეცარ ვართ, ჭ, საყუარელნო, ვითარმედ მრავალგზის ეშმაკნი მეყსა შინა განგუეშორნიან, რადთა დიდი იგი ვნებანი, ვითარცა მცირენი უდებ-ვყვნეთ და ესრეთ უკურნებელად მოუძლურდეთ მათ მიერ.

16. ვითარცა-იგი ქვად მქისც, ეკლოანი და კორძოანი, ოდეს იგორვებოდის შორის ქვათა მრავალთა, მოიგლისების და მოიქმნების წრფელად სიმქისისა მისგან და უწრფელობისა, ეგრეთვე სული, ცხარი და ფიცხელი და მრისხანე, ოდეს აღერიოს და იქცეოდის მრავალთა კაცთა თანა ძლიერთა და ფიცხელთა მოღუაწეთა, ეგევითარი უცილობელად ამათ ორთაგანსა ერთსა საქმესა შეემთხვოს: ანუ მოთმინებითა ვნებისა მისგან განიკურნოს, ანუ განეშოროს მათგან და იცნას უძლურებად თკსი.

17. კაცი მრისხანე ნებსით თკსით განცოფებული არს, რამეთუ ძლეულ არს ჩუეულებათაგან პირველთა, და თკნიერ ცნობისა მისისა ბორგს და დაეცემის.

18. არარად არს მონანულისათვის უბოროტეს გულის-წყრომისა, რამეთუ სინანულსა ფრიადი სიმდაბლც ექმარების, ხოლო გულისწყრომად ყოვლისავე ამპარტავანებისა სახე არს.

19. ესე არს დიდი სიღრმც სიმშკდისად, ოდეს მახლობელად იყოს მისისა შემანუხებელი და გული მისი იყოს მყუდროებით, და არა მოაკლდებოდის სიყუარულსა მისისა. და კუალად ესე არს დიდი სიბოროტც გულისწყრომისად, რომელ, დაღაცათუ მარტოდ იყოს, ბორგდეს და ჰბრძოდის შემანუხებელსა მას მისისა.

20. ვითარცა-იგი სული წმიდად მშკდობად და ყუდროებად არს სულისად, ეგრეთვე გულისწყრომად აღმაშფოთებელი და აღმამრღუეველი არს სულისად, და ამისთვის არარად არს ესრეთ სულისა წმიდისა ჩუენდა მოსლვისაგან დამაყენებელ, ვითარ გულისწყრომა.

21. ჩუენ უწყით, ვითარმედ მრავალ არიან და ბოროტ ნაშობი გულისწყრომისანი, გარნა ერთი ნაშობთა მისთაგანი ოდენ თკნიერ ნებისა მისისა დაღაცათუ მედგარ არს, არამედ ოდესვე სარგებელ იყვის. რამეთუ ვიხილენ კაცნი აღბორგებულნი გულისწყრომითა, და ძკრისკენებად, რომელი იყო დაფარულ მრავლით ჟამითგან მათ შორის, გამოაცხადეს, და ვნებითა ვნებასა უძკრესსა განერნეს, რაჟამს შემანუხებელმან მან გულსავსე-ყვნა იგინი საქმისა მისთვის, ანუ-თუ შენდობად ითხოვა. და ვიხილენ სხუანი, რომელთა აქუნდა სულგრძელებად პირუტყული, და დუმილითა მით ნივთებდეს და აღავსებდეს გულთა მათთა ძკრისკენებითა, და უძკრესად ეშმაკეულთა და ცოფთასა შევრაცხენ უბადრუენი იგი, რამეთუ იქმნეს თავით თკსით მტერ კეთილისა, ვითარცა შევარდენი – ტრედისა.

22. საყუარელნო, ფრიადი ზრუნვად გკლირს და კრძალვად გუელისა ამისგან მრისხანებისა, რამეთუ პუნებაზცა თანაშემწედ აქუს მას, ვითარცა-იგი სიძვისასაცა.

23. ვიხილენ მრისხანენი, რომელნი სიმრავლისა მისგან განმწარებისა მათისა საზრდელსა განეყენეს, და გესლა ზედა გესლი დაურთეს პირუტყულითა მით მარხვითა. და ვიხილენ სხუანი, რომელთა გულისწყრომად იგი მიზეზად მოიპოეს, და ნაყროვანებად მისცნეს თავნი მათნი, და ვითარცა კლდისაგან მაღლისა მთხრებლსა ღრმასა გარდამოიჭრეს. და ვიხილენ სხუანი გონიერნი, რომელთა, ვითარცა მკურნალთა ჯელოანთა, ორივე შეზავეს, და ზომითისა მის ნუგეშინისცემისაგან დიდად სარგებელ-ეყო.

24. გალობად ჟამობისად ზომითი ოდესმე გულისწყრომასა სულისასა დააწყნარებს, და ოდესმე გემოთმოყუარებასა შეენევის, ოდეს უზომოებით იქმნებოდის და უჟამოდ, ამისთვის ჟამისა და ზომისაებრ ვიწმარებდეთ მას.

25. სიტყვსგებად მდაბალი დააწყნარებს გულისწყრომასა, და სიტყვსგებად ფიცხელი აღაორძინებს გულისწყრომასა. და ამისთვის ჯერ არს, რაღთა ყოველსავე ზედა სიმდაბლც თანა გუყვეს.

26. ვიყავ ოდესმე გარე სენაკისაგან ჩემისა საკმრისა რაღასათვისმე, და მესმა კაცთა ვიეთმე დაყუდებულთად, რომელნი სიმრავლისაგან სიცხარისა და გულისწყრომისა მათისა სენაკებსა შინა მათსა თავით თკსით, ვითარცა კაკაბნი გაილანთა შინა, ჰკორტნიდეს და იბორგებოდეს, და მიმოიჭრებოდეს პირსა ზედა მათსა მძრვარებისაგან მათისა, ვითარღამცა შემაწუხებელი იგი მათი თანაუდგა წინაშე მათსა. ხოლო მე ვარქუ მათ და განვაზრახე ღმრთისმოშიშებით, რაღთა არა დაეყუდნენ ყოვლადვე მარტოებით, რაღთა არა გარდაიქცენ კაცთა ბუნებისაგან და იქმნენ ეშმაკ.

27. ვიხილენ კუალად გულნი ვნებულნი და მწკრითა სავსენი, ჯორცთამოყუარენი, დაწსნილნი და მღერისა და

განცხრომისა მოყუარენი, მიღრეკილნი მოყუსობასა ჭაბუკ-თასა, და პირთა შემკობისა მოყუარენი, რომელთა გამოურჩიე დაყუდებად, ვითარცა მტერი ესევითართა ვნებათა და მწკრეთად, რადთა არა კაცთა ბუნებისაგან პირუტყუთა ბუნებად გარდაიქცენ.

28. ვიეთმე უკუე მრქუეს მე, ვითარმედ ამათ ორთაგანვე საწყალობელად იძლევიან, რომელნი-იგი სრულიად დავაყენენ ნებასა შინა თვესა ყოფისაგან, და განვაზრახე მოძღუართა მათთა სიყუარულით, რადთა ოდესმე დაყუდებით და ოდესმე ერსა შორის განაგებდენ ყოფასა მათსა, და ყოველივე მოძღურისა მიმართ მივაგდეთ, რადთა ვითარცა ენებოს, ვნებათა მათთაებრ განაგებდეს.

29. გემოდსმოყუარებამან თავსა თვესა თვენ, და ნუუკუე ერთსა თანამზრახვალსა მისსა სხუასაცა ავნის, ხოლო მრისხანებამან მრავალგზის, ვითარცა მგელმან, ყოველივე სამწყსოდ აღაშფოთის და მრავალნი სულნი მდაბალნი მოწყლის.

30. ბოროტ არს გულისწყრომისა მიერ დაბნელებად თუალთა სულისათად, ვითარცა იტყვს მეტყუელი იგი, ვითარმედ: „შეშფოთნა გულისწყრომითა თუალი ჩემი“ (ფსალმ. 6,8). და უძკრეს არს, რაჟამს ბაგეთა მიერცა გამორჩდეს მრისხანებად იგი სულისად; ხოლო წელთა განმარტებად ყოვლადვე მტერ და უცხო არს მონაზონთა მოქალაქობისაგან.

31. უკუეთუ გნებავს აღმოღებად წუელისად თუალისაგან ძმისა, ეკრძალე, რადთა არა საოლავისა წილ უოლნე ისრითა: ესე იგი არს სიტყვსგებად და სახც ფიცხელი და ბოროტი; ხოლო საოლავი არს მოძღურებად სიმშედით და მხილებად სულგრძელებით.

32. იტყვს მოციქული, ვითარმედ: „ამხილე, შეპრისხენ და ნუგეშინის-ეც“ (2 ტიმ. 4,2), და არა თქუა, თუ: „გუემე“. ხოლო უკუეთუ არა ეგების თვინიერ ცემისა, შ, ნინამძღუარო, მაშა უამითი-უამად ნუ წელითა თვესითა, არამედ სხუათადთა.

33. უკუეთუ გამოვეძიებდეთ, ვპოოთ მრავალნი მრის-

ხანენი, გულსმოდგინებით აღმასრულებელი მარხვისა და მღვდარებისა და დაყუდებისა; რამეთუ ესე არს წეპად ეშმაკისა, რამთამცა აღმაორძინებელი იგი მის ვნებისა ნივთი დაარწმუნნა, ვითარცა სინანულისა და მოღუაწებისა მიზეზითა განმრავლებად მათ შორის.

34. უკუეთუ ერთი მგელი, ვითარცა ვთქუთ, შემძლებელ არს სამწყსოესა ყოვლისავე აღშფოთებად თანაშეწევნითა ეშმაკისადთა, შემძლებელ არს სადმე ერთიცა ძმად ბრძენი, ვითარცა თხიერი ზეთითა სავსც, დაწყნარებად ღელვათა თანაშემწეობითა ანგელოზისადთა. და ვითარცა პირველი იგი მიიღებს დიდსა საშჯელსა, ეგრეთვე ამან მოიღოს ღმრთისაგან დიდი სასყიდელი, და სახე სარგებლის ექმნას ყოველთავე.

35. დასაბამი სანატრელისა ურისხველობისად არს სიმწარით და ტკივილითა გულისადთა მოთმინებად კდემისა და ყუედრებისად და გინებისა, ხოლო საშუალი – რამთა შეუწუხებელად იყოს მათ შინა. ხოლო სისრულც ესე არს (თუ ოდენ იპოოს ვინ), რამთა ვითარცა ქებად შეერაცხოს გინებად.

36. გიხაროდენ პირველო, ცოცხლებით იყავ მეორეო, ნეტარ ხარ უფლისა მიერ და მხიარულ იყავ მესამეო, სრულო საზომითა.

37. ვიხილე საწყალობელი მრისხანეთა შორის ხილვად, რომელი ამპარტავანებისაგან ფარულად მოიწეოდა მათ ზედა, რამეთუ განრისხნებოდეს, და მერმე, რამეთუ იძლინეს მრისხანებისაგან, კუალად განრისხნეს. და მიკვრდა, ვხედევდ რად, ვითარმედ დაცემითა დაცემასა შჯიდეს, და ცოდვითა ცოდვასა ზედა შურს-იგებდეს. და შემეწყალნეს იგინი, და მანქანებათათვეს ეშმაკისათა ესრეთ დამიკვრდა, რომელ კნინღა-და სასოებად თავისა ჩემისად განვიწირე.

38. რომელი ხედვიდეს თავსა თკსასა ძლეულსა მრისხანებისაგან და ამპარტავანებისაგან, უკეთურებისაგან და ორგულებისა, და ენებოს, რამთამცა აღმოიკადა მათ ზედა

მახკლი სიმშედისად ორპირი, მივედინ ეგევითარი იგი კრებულსა ძმათა ფიცხელთასა და შევედინ მუნ, ვითარცა სახლსა სამურკნველოსა, განმბანელსა ბილწებათასა და მაცხოვნებელსა სულისასა, და მუნ იყოფოდის, უკუეთუ ჰერბავს, რაღთა სრულიად განწმდეს ვნებათა მათგან, რაუამსიგი გინებათაგან და შეურაცხებათა იგუემებოდის გონებად მისი, გინა-თუ ჭორცნიცა, და დაითრგუნვოდის და იწიხნებოდის, ვითარცა სამოსელი, და შეიმუსროდის, და ესრეთ ყოველივე ბილწებად, რომელი არს სამოსელსა მას სულისა მისისასა, განწმდეს და განირცხას კეთილად.

39. დაგარწმუნენ სიტყუამანცა სოფლიომან და ცან, ვითარმედ უპატიორებად და კდემად და გინებად განმბანელი არს ვნებათა სულისათად. რამეთუ იტყოდიან სოფლიონნი სიქადულით ურთიერთას, რაუამს ვისდამე ფრიად ეგინის, ვითარმედ: „იგი ვინმე განვრცხი და განვბანე“, და ჭეშმარიტად ესრეთ არს.

40. სხუად არს ახლადმოსრულთა თანამყოფი იგი გლოვისა მიერ ურისხველობად და სხუად არს სრულთად იგი სრულიადი მოსპოლვად გულისწყრომისად და აღუძრველობად. რამეთუ პირველთა მათ მიერ, ვითარცა ჭიმითა და აღვრითა, შეკრულ არს ცრემლთაგან და გლოვისა ვნებად იგი; ხოლო მეორეთა მათ მიერ, ვითარცა გუელი, მახკლითა მით უვნებელობისადთა მომკუდარ არს.

41. ვიხილენ სამნი მონაზონნი, რომელნი ერთბამად იგინეს ვიეთგანმე; და ერთი იგი შეწუხნა, რამეთუ იგინა, გარნა დადუმნა; ხოლო მეორც მხიარულ იქმნა თავისა თვ-სისა გინებისათვს, ხოლო შეწუხნა მაგინებელისა მისთვს, რამეთუ ევნო მას; ხოლო მესამემან გამოისახა გულსა თვსსა ვნებად მოყუსისად მის და ცრემლოოდა მწურვალედ, და იყო მათ სამთა შორის ხილვად მუშაკთა შიშისა და სასყიდლისა და სიყუარულისათად.

42. ვითარცა-იგი მწურვალებად თავქედისად ერთად

ითქუმის სახელითა, ხოლო მრავალნი და არა-ერთი აქუს მიზეზი აღძრვისა მისისად, ეგრეთვე არს აღძრვად იგი გულისწყრომისად და სხუათა მათ ვნებათა ჩუენთა. რამეთუ მრავალნი და თითოფერნი მიზეზი ჰქონან თითოეულსა, და ამისთვის ვერ შესაძლებელ არს, რაღამცა კურნებისა მათისა საქმის ერთ სახედ განვაგეთ, არამედ ამას ვიტყვ, რაღა ისწრაფოს, რომელსა სენი იგი აქუნდეს, და სენისა მისებრ და მიზეზთა მისთაებრ ყოს კურნებადცა.

43. ყოვლისა უპირატეს ჯერ არს, რაღა მიზეზი გამოიძიოს სენისა თვისისად თითოეულმან, რაღა რაჭამს მიზეზი პოოს, მას ზედა მიიღოს წამალიცა და კურნებად მოღუაწებითა ღმრთისაღთა და მოსწრაფებითა მკურნალთა სულიერთაღთა.

44. ვითარცა სახით და იგავით შემოვკრბეთ სულითა და ვყოთ გამოძიებად მიზეზთად ამის სენისათა, თუ ვინად მოვალს, ანუ რად არს კურნებისა მისისა სახც. და რომელთცა გნებავს, მოვედით სულიერსა ამას და უხილავსა სამშჯავროსა ჩუენსა, და დავსხდეთ და გამოვიძიოთ პირველთქუმულისა ამის ვნებისთვის მრისხანებისა.

45. ვითარ-მე ვპოვნეთ მიზეზნი ამის სენისანი, შ, ქმანო, ანუ ვითარ ვცნათ მშობელი ამის უხილავისა მტერისად?! გარნა მოვედით და ვიღუაწოთ და შევკრათ გულისწყრომად ესე მძლავრი, და უხილავსა მას უხილავნიცა საკრველნი მოუძივნეთ, და ვაჭიროთ სიმშედითა, რამეთუ ესე არს მომზავებელი საკრველი მისი; და ვსცეთ და ვგუემოთ სულგრძელებითა, და მივსცეთ იგი ჭელთა ყოვლადწმიდისა სიყუარულისათა, და მან წამოითრიოს და დაადგინოს იგი სამშჯავროსა მას უხილავსა, და მერმე ვკითხოთ პირითა მით გონებისაღთა და ვპრექუათ:

„გკთხარ ჩუენ, შ, უცნობელო და უგუნურო და უპატიოო და დაუწყნარებელო! გკთხარ ჩუენ, რად არს სახელი მამისა შენისად, და რად ეწოდების უკეთურსა მას დედასა

შენსა, რომელმან-იგი ბოროტად გშვა შენ, ანუ რად არს სახელები ბოროტა მათ და ბილნთა ძეთა და ასულთა შენთად, ანუ-თუ რომელნი საქმენი არიან, რომელნი ჰპრძვანან და მოაკუდინებენ მედგრობასა შენსა?“

და მერმე მომიგოს მან და მრქუას ჩუენ, ვითარმედ: „მშობელნი ჩემნი მრავალ არიან, და მამად ჩემი არა ერთ არს. რამეთუ დედანი ჩემნი არიან: ცუდადმზუაობრობად და ვეცხლისმოყუარებად და ნაყროვანებად და ოდესმე სიძვადცა; ხოლო მამანი ჩემნი არიან სიმაღლც და ვახში; ხოლო შვილნი ჩემნი არიან ძკრისწენებად, სიძულილი, მტერობად და სიტყვა თვისისა დამტკიცებად.

ხოლო მტერნი ჩემნი, რომელთა მიერ ან შეკრულ ვარ, არიან ურისხველობად და სიმშვდც; და მპრძოლი და წარმწყმედელი ჩემი სიმდაბლც არს; ხოლო ვინ არს მშობელი მისი, თვისსა ადგილსა თვით მას ჰკითხეთ“.

ღმერთმან მოგუეცინ ჩუენ, ძმანო, სიმდაბლც, წარმწყმედელი ამის ვნებისად, მადლითა ღმრთისათა, რომლისად არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ!

მერვესა ამას კიბესა შინა იპოების გვრგვნი ურისხველობისად, და რომელსა ბუნებით აქუნდეს ესე გვრგვნი, ნუკუე-და არა აქუს სხუადცა; ხოლო რომელსა ოფლით და შრომით მოეგოს, მას ყოველთავე რვათა მათ ვნებათადა უძლევიეს.

## ძკრისტიანული სათვა

### თავი 9

1. სათნოებანი წმიდანი მსგავს არიან კიბესა მას, რომელი იხილა იაკობ, რამეთუ შემდგომითი შემდგომად შესლვითა მათ შინა აღამაღლებენ კაცსა ცადმდე. ხოლო ბოროტნი საქმენი მსგავს არიან ჯაჭუთა მათ, რომელი დასკვეს მოციქულისა პეტრესგან, რამეთუ ესრეთ ვნებანი ერთიერთისა დამოკიდებულ არიან და შთაიყვანებენ სულსა ჯოჯოხეთად. ამისთვისცა გუესმა ანდა გულისწყრომისა არაწმიდისა მიერ, იტყოდა რად, ვითარმედ: „ნაშობი მისი არს ძკრისტიანებად“. ამისთვისცა, ან შემდგომად მშობელისა, შვილისაცა მისისა უკეთურისათვს ვთქუათ.

2. ძკრისტიანებად არს გულისწყრომისა გესლი, ცოდვათა დამარხველი, სიმართლისა სიძულილი, სათნოებათა წარმწყმედელი, გესლი არს სულისა მომაკუდინებელი, მატლი არს გონებისა მჭამელი, სირცხვლი არს ლოცვისად,<sup>30</sup> დამახრწეველი არს ვედრებათად, უცხოებად არს სიყუარულისაგან, სამშტუალი არს სულისად, საქმი არს უგემური, სიტყბოებითა სიმწარისადთა მრისხანეთა მიერ საყუარელი, ცოდვად არს სამარადისოდ, ურჩულოებად არს დაუძინებელი, უკეთურებად არს ყოველსა უაშა და ყოვლადვე.

3. ერთი არს ესეცა ბნელთა მათ და ბოროტთა ვნებათაგანი – ძკრისტიანებასა ვიტყვა – ნაშობთაგანი და არა მშობელთად და უფროდსად მშობელთაგანიცა.<sup>31</sup> ამისთვის არა მნებავს მისთვა მრავლისმეტყუელებად.

<sup>30</sup> „სირცხვლი არს იგი ლოცვისად“, რამეთუ, რაჟამს ვიტყოდით, ვითარმედ: „მოგვტევენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევნეთ თანამდებთა ჩუენთა“, მაშინ ძკრისტიანებად სირცხვლ არს ჩუენისა მის ლოცვისად.

<sup>31</sup> ამისთვის არს „მშობელთაგანი“, რამეთუ ზუაობით გულისწყრომად შობს ძკრისტიანებასა, ხოლო ძკრისტიანებად შობს შურსა და კაცისკლვასა.

4. რომელი მძღვანელი გულისწყრომასა, მან მოსპოტკრისტსენებად, ხოლო ვიდრემდის მამად ცოცხალ იყოს, შეუძლებელ არს, თუმცა არა შვილ ესხნეს მას.

5. რომელმან მოიგო სიყუარული, იგი უცხო იქმნა შურისაგან, ხოლო რომელსა აქუნდეს მტერობად, არა დაელიოს მას შრომად ცუდი და წარწყმედა სულისად.

6. ტაბლამან სიყუარულისამან დაჰჭისნის სიძულილი, და ნიჭმან წმიდამან მოამდოვრის და დააწყნარის სული.

7. ტაბლად განუკრძალველი დედად არს კადნიერებისად, და სარკუმლით სიყუარულისათ შევიდის ნაყროვანებად.

8. ვიხილე სიძულილი, რომელმან დაჰჭისნა სიძვისა კრულებად დაძუელებული; და ვიხილე მუნვე ძკრისტსენებად, რომელმან საკრველი იგი სიძვისად შეუკრველად დაიცვა მიერითგან, და დამიკურდა: ვითარ ეშმაკან ეშმაკი განდევნა? და ნუუკუ საქმი არს ესე განგებულებისა ღმრთისად და არა ეშმაკთაგან.

9. სიყუარული მტკიცებულებითი განშორებულ არს ძკრისტსენებისაგან, არამედ საკრძალავ არს, რამეთუ სიძვად ადვილად მიეახლების მას, და გამოჩნდების ფარულად ტრედსა მას შორის სიყუარულისასა ტილი იგი სიძვისად.

10. უკუეთუ ძკრისმოწენე ხარ, ძკრისმოწენე იყავ ეშმაკთათვს, და უკუეთუ ემტერები, მტერი იყავ ჭორცთა შენთად მარადის.

11. უმადლოდ და მზაკუვარი მეგობარი არს გუამი, რამეთუ რაღომტკა განუსუენებდეთ, უმეტესად გუავნებს.

12. ბოროტი თარგმანი არს წიგნთად ძკრისტსენებად, რამეთუ თვისისა უკეთურებისა წამებად მოიყვანებს მათ.

13. არცხვნებდინ მას ლოცვად უფლისა იესუსი, რომლისა თქუმად ვერ ძალ-გვც, უკუეთუ იგი გუაქუნდეს ჩუენ თანა.

14. რაჟამს ფრიად ისწრაფო და ვნებისა მის სრულიად გულისაგან აღმოგდებად ვერ უძლო, მაშინ ზედასზე-და შეუვრდებოდე შემაწუხებელსა მას და გარეგან აჩუნებ-

დი მისა მიმართ სიყუარულსა, რადთა ესრეთ რად იქმოდი, შეგრცხუენეს მხილებითა სკნიდისისამთა, და სრულიად შეიწყნარო სიყუარული მისი გულადცა.

15. გნებავს თუ ცნობად, უკუეთუ სრულიად განკურნებულ ხარ ვნებისა მისგან, ესე გაქუნდინ სასწაულად: არა-თუ ოდეს შემაწუხებელისა მისთვე ილოცვიდე, არცა ოდეს ახარო ძლუნითა, არცა რაუამს მიხადო პატივისცემად, არა-მედ რაუამს გესმას მოწევნული მის ზედა სულიერი გინა წორციელი განსაცდელი, და ვითარმცა შენზედა მოწევნულიყო, ესრეთ გელმოდის და სცრემლოოდი, მაშინ უწყოდე, ვითარმედ განთავისუფლებულ ხარ ძკრისტისენებისაგან.

16. დაყუდებული ძკრისმოწენე ასპიტი არს დამალული და გესლი სასიკუდინც თავსა შორის თვისსა უტვირთავს.

17. წენებამან ვნებათა ქრისტესთამან განკურნოს ძკრისტისენებად, რამეთუ ძკრუტსენებლობისა მისისაგან და სიმშვდისა სირცხვლებულ იქმნის იგი.

18. შეშასა ლბილსა შინაგან იშვებიან ჭიანი, და დაყუდებულთა დაწვნილთა და მედგრად მდუმარეთა შეუკლის ძკრისტისენებად.

19. რომელმან განიშოროს იგი, პოოს მან შენდობად ცოდვათად, ხოლო რომელი შეეყოს მას, შორს არს წყალობისაგან ღმრთისა.

20. მრავალთა მისცნეს თავნი მათნი შრომათა ფიცხელთა, რადთა შეენდვნენ ცოდვანი, ხოლო კაცმან ძკრუტსენებელმან უსწრის მათ, რამეთუ იტყვს უფალი, ვითარმედ: „მიუტევეთ და მიგეტევნენ თქუენ“ (ლუკ. 6,37) ცოდვანი.

21. სასწაული ჭეშმარიტისა სინანულისად არს ძკრუტსენებლობად. ხოლო რომელსა აქუნდეს იგი<sup>1</sup> და ჰგონებდეს თუ ინანის, მსგავს არს იგი კაცსა, რომელსა ენების ძილსა შინა სირბილი ჭეშმარიტი.

<sup>1</sup> ე.ი. ძვირისხსენება (რედ.).

22. ვიხილენ ძვრისმოწვენენი, რომელი ამხილებდეს სხუათა ძვრისმოწვენეთა ძვრისწვენებისათვეს, და სიტყუათა თვესთაგან სირცხვლეულ იქმნეს, და ვნებისა მისგან დასცხრეს.

23. ნუმცა ვინ ჰერონებს, თუ მცირდე ვნებად არს ესე უკეთური, რამეთუ ესრეთ დიდ არს, ვიდრელა მრავალგზის მოღუაწეთაცა და სულიერთა დასცემს. ხოლო ჩუენ ვხადიდით უფალსა, რადთა გვესწეს მისგან, რამეთუ მისი არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე მეცხრდე კიბც არს. რომელმან მოიგოს ესე, კადნი-ერებით ითხოვდინ იგი შენდობასა ცოდვათასა.

## ძკრისზრახვისათვეს და განკითხვისა

### თავი 10

1. ესრეთ ვჰვანებ, ვითარმედ არავინ უმეცარ არს გონი-ერთაგანი, რამეთუ სიძულილისა და ძკრისტენებისაგან იშვების ძკრისზრახვად, ამისთვეს შეუდგინე ნაშობი მშობელთა მისთა წესისაებრ.

2. ძკრისზრახვად ნაშობი არს სიძულილისად, სენი არს წურილი და ფარული და იდუმალ შემავალი, და წურბე-ლი არს გამომწოელი სისხლსა სიყუარულისასა და უჩინო-მყოფელი მისი, ორგულებად არს გულისად, მომატყუებელ არს ბილწებათა და სიმძიმეთად, უჩინომყოფელი არს სი-წმიდისად.

3. მესმა ოდესმე, რამეთუ კაცნი უზრახვიდეს ვიეთ-მე, ხოლო მე შევრისხენ და ვამცენ მათ, რაღთა დასცხრენ, ხოლო მოქმედთა მათ ბოროტისათა მომიგეს და მრქუეს მე ესრეთ, ვითარმედ: „სიყუარულისა მისისათვეს და ზრუნვი-სათვეს, რომელი გუაქუს მისთვეს, ვჰყოფთ ამას“. და მიუგე და ვარქუ მათ: „დასცხერით ესევითარისა სიყუარულისაგან ხენეშისა და მედგრისა, რაღთა არა განაცრუოთ წინააღმდეგ მეტყუელი, რომელი იტყვს, ვითარმედ: „რომელი იტყოდა მოყუსისა თვესისათვეს ძკრსა, იგი გარეს-გარე ვდევნე“ (შდრ. ფსალმ. 100,5).

4. უკუეთუ გიყუარს იგი, ულოცევდ მას და ნუ ძკრსა უზრახავ, რამეთუ ღმერთი ლოცვითა შეეწევის მას და შეი-წყალებს.

5. გულისჯმა-ყავ, ძმაო, და იხილე, რამეთუ იუდა კრე-ბულსა შორის მოწაფეთასა იყო, და ავაზაკი კრებულსა შო-რის კაცისმკლველთასა, და ერთსა წამსა საკურველებით იგი ცხონდა, და იგი წარწყმდა; და ამას თუ გულისჯმა-ჰყოფდე მა-რადის, დიდად სარგებელ-გეყოს არა განკითხვად მოყუსისა.

6. რომელსა ენებოს ძლევად განკითხვისა, ნუ ძმასა თკას-სა მიაჩემებნ ცოტმასა, რომელი იხილოს მის თანა, არამედ ეშმაკსა, რომელმან მოაგონა მას იგი, რამეთუ არავის ჰე-ბავს შეცოდებად ღმრთისად, დაღაცათუ უდებებითა ჩუენითა ვიძლევით, და არავინ არს იძულებით ძლეული.

7. ვიხილენ კაცნი, რომელთა ცოდეს ცხადად და შეინა-ნეს ფარულად, და რომელნი-იგი ვითარცა მეძავნი განვი-კითხენ, იყვნეს წინაშე ღმრთისა, ვითარცა წმიდანი, რამეთუ სინანულისა მიერ განწმედილ იყვნეს.

8. ნუ ერიდები მას, რომელი შენდა მომართ ძმასა ძვრსა უზრახვიდეს, არამედ არქუ მას, ვითარმედ: „დასცხერ, ძმაო, რამეთუ მე მარადღე უძკრესთა საქმეთა ვიქმ, და ვითარ უძლო მისსა განკითხვასა?“ და ორი სარგებელი ჰქმნე, რა-მეთუ სულსაცა შენსა არგო და მოყუასიცა განჰკურნო.

9. ესეცა გზად ერთი არს მოკლედ ცხორებად მიმყვანე-ბელთა გზათაგან, ესე იგი არს არა განკითხვად მოყუსისად, რამეთუ იტყვს უფალი: „ნუ განიკითხავთ, რაღთა არა განი-კითხნეთ“ (ლუკ. 6,37), და ამისთვის ვისწრაფოთ, საყუარელ-ნო, რაღთა არა განვიკითხნეთ ძმანი ჩუენნი, რაღცა ცოტმად ვიხილოთ მათ თანა.

10. ვითარცა წყალი უცხო არს ცეცხლისაგან, ეგრეთვე განკითხვად მოყუსისა – სინანულისაგან.

11. დაღაცათუ ჟამსა სიკუდილისასა იხილო ვინმე ცოდ-ვასა შინა, ნუვე განიკითხავ, რამეთუ საშჯელი ღმრთისად უცნაურ არს კაცთაგან.

12. მრავალთა ქმნეს დიდნი ბოროტნი ცხადად, ხოლო ქმნეს უმეტესნი კეთილნი ფარულად, და შესცოტეს განკითხ-ვისა მოყუარენი, და მზისა წილ კუამლი ეპყრა მათ.

13. ისმინეთ ჩემი, ისმინეთ, ჭ, ბოროტნი განმკითხველ-ნო კაცთა ცოდვილთანო! უკუეთუ ჭეშმარიტ არს, ვითარცა ჭეშმარიტ არს სიტყუად იგი, რომელი თქუა უფალმან, ვი-თარმედ: „რომლითა საშჯელითა განიკითხნეთ მოყუასნი,

მითვე დაისაჯნეთ“ (მათ. 7,2), საცნაურ არს, ვითარმედ, რომელსაცა საქმესა ზედა ვაპრალოთ და განვიკითხოთ მოყუასი, მასვე შთავფკვეთ, გინა-თუ ჭორციელი იყოს, გინა-თუ სულიერი.

14. მოსწრაფენი იგი და მალენი განკითხვად სხვა ცოდვათა, ამისთვის შთავარდებიან ვნებასა ამას, რამეთუ არა აქუს წსენებად და ზრუნვად ჭეშმარიტი ცოდვათა თვისთად. რამეთუ, უკუეთუ ვინ განაგდოს საბურველი იგი წორცოდოულებისად და იხილნეს ჯეროვნად ბოროტნი თვისნი, არარა სხუად იზრუნოს სოფელსა ამას, არამედ იგონებდეს და იტყოდის, ვითარმედ: „ყოველნი დღენი ცხორებისა ჩემისანი არა კმა არიან გლოვად ცოდვათა ჩემთათვის“. და ამას იწურთიდეს, დალაცათუ ცხონდეს ას წელ, და თუცა ხედვიდეს ცრემლთა, გარდამომავალთა თუალთა მისთაგან, ვითარცა მდინარც იორდანც.

15. განვიცადე და ვიხილე ჭეშმარიტი გლოვად, და არა ვპოვე მის თანა კუალი ძვრისზრახვისა ანუ განკითხვისად.

16. ეშმაკნი მრავალღონე არიან, და ანუ ცოდვასა შთაგდებად ჩუენდა ისწრაფიან, ანუ უკუეთუ ესე ვერ ქმნან, მერმე იღუნიან, რათამცა განვიკითხვიდეთ ცოდვილთა, რათა მეორითა ამით პირველიცა იგი შეაგინონ უკეთურთა მათ.

17. ესე არს სასწაული ძვრისმოქსენეთა და მოშურნეთად: რაჟამს ესმის რად მოძღურებად, ანუ სათნოებად რამე კეთილი სხვად, ანუ სიტყუანი კეთილნი, მეყსეულად იწყიან ძაგებად მისსა და შეემტერნიან და მოიძულნიან.

18. ვიხილენ ვიეთნიმე, რომელი ფარულად მრავალთა და დიდთა ბოროტთა იქმოდეს, და არავინ ხედვიდა მათ, და ვინათგან იჭკ სიწმიდისად აქუნდა ყოველთა მათდა მიმართ, ამისთვის ფიცხლად ამხილებდეს და განიკითხვიდეს მოქმედთა მცირედისა ცთომისათა.

19. განკითხვად მოტაცებად არს პატივისა მხოლოდშობილისასა და დამაქცეველი სულისად.

20. ვითარცა ამპარტავანებად თავით თკსით თვინიერ სხვ-სა ვნებისა შემძლებელ არს წარწყმედად ჩუენდა, ეგრეთვე განკითხვად მოყუსისად მარტოდ შემძლებელ არს სრულიად წარწყმედად ჩუენდა, ვითარცა-იგი ფარისეველი ამან ოდენ დასაჯა და წარწყმიდა.

21. ბრძენი მკრებელი მარცუალსა ყურძნისასა მწიფეთა მათ მარცუალთა ჭამნ და მჭახთა არა მიხედავნ, და ეგრეთვე გონებამან ბრძენმან და მეცნიერმან, უკუეთუ იხილნის ვიეთნიმე სათნოებანი, კეთილად გულად იხუნის იგინი და ცთომათა არა მიხედავნ; ხოლო უგუნური ოდენ ცთომათა და ბოროტთა უმზირინ მოყუსისათა, რამეთუ მისთვის თქუ-მულ არს, ვითარმედ: „გამოიძინეს ურჩულოებანი, განიზ-რახეს გამოძიებად გამოსაძიებელთა მათთავ“ (ფსალმ. 63,7). ხოლო შენ, ძმაო, დალაცათუ თუალითა იხილო ცოდვად ძმი-სად, ნუ განიკითხავ, რამეთუ თუალნიცა მრავალგზის სცოე-ბიან. არამედ უფალსა უგალობდი, რომლისად არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე მეათჲ კიბჲ არს. რომელი მძლე-ექმნას ამას ვნებასა, იგი მუშაკი არს სიყუარულისა გინა-თუ გლოვისად.

## დუმილისათვს და მრავალმეტყუელებისა

### თავი 11

1. ვთქუთ პირველსა მას თქუმულსა ჩუენსა შინა, ვითარ-მედ ბოროტ არს და მაცთურ განკითხვად. ხოლო აწ ვთქუათ მცირედ რამე მრავალმეტყუელებისათვსცა, რომელი-იგი მიზეზი არს და კარი მისი, რომლისა მიერ შემოვალს, და უფროხსად, გამოვალს ძრისიზრახვად და განკითხვად.

2. მრავალმეტყუელებად საყდარი არს ცუდადმზუაობ-რობისად, რომელსა ზედა დაჯდების და გამოჩნდების იგი.

3. მრავალმეტყუელებად სახე არს უგულისჯმოებისად და კარი ძრისიზრახვისად, წინამძღვარი კადნიერებისად, მსახური ტყუილისად, დამწსნელი ლმობიერებისად, მომხ-დელი მოწყინებისად, წინამორბედი ძილისად, განმაბნეველი კეთილთა გულისისიტყუათად, უჩინომყოფელი გლოვისად და განმაგრილებელი მჯურვალებისად და დამაბნელებელი ლოცვისად.

4. დუმილი გულისჯმის-ყოფითი დედად არს ლოცვისად; შემკრებელი წარტყუენულებისად და მცველი ცეცხლისა მის სალმრთოხსად, და მასწავლელი გულისისიტყუათა სალმრთო-თად, დამმარხველი მჯურვალებისად, ზედამდგომელი გუ-ლისისიტყუათად, მსტოარი არს, რომელი მარადის უმზირინ მტერთა, საკრველი არს გლოვისად და მეგობარი ცრემლთად; მომაჯსენებელი არს სიკუდილისად და გამომხატველი სატან-ჯველთად, მწურთელი არს საშჯელისად და მსახური წუხი-ლისა სალმრთოხსად, მტერი არს კადნიერებისად და მოყუასი დაყუდებისად, განმარძალებელი არს დიდებისმოყუარე-ბისაგან და განმამრავლებელი გულისჯმის-ყოფისად, მტერი არს დაცემათად და მომპოვნებელი ხედვათა მათ სულიერ-თად, წარმატებად არს უჩინოდ და აღსლვად უხილავი.

5. რომელსა უცნობია დაცემად თვისი, მან დაიცვას ენად

თკსი, ხოლო მრავალმეტყუელმან ვერ იცის თავი თკსი, ვითარცა ჯერ არს.

6. მოყუარც დუმილისად მიეახლების ღმერთსა, და რავ-დენცა მიეახლოს მას, განათლებულ იქმნას მისგან.

7. დუმილმან იესუსმან სირცხვლეულ-ყო პილატე, და წელმან<sup>1</sup> კაცისა მდუმარისამან განაქარვა ცუდი დიდებაა.

8. სიტყუად ერთი თქუა პეტრე და ტიროდა მწარედ, და იგლოვდა მისთკს, რამეთუ დაავიწყდა თქუმული იგი მეტყუელისად მის, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „ვთქუ, ვიმარხნე გზანი ჩემი, რახთა არა ვსცოდო ენითა ჩემითა“ (ფსალმ. 38,1), და კუალად რომელმან თქუა, ვითარმედ: „უმჯობეს არს გარდამოჭრად სიმაღლისაგან, ვიდრედა რადაცემად ენისაგან“ (ზირ. 20,18).

9. არა მნებავს მე ამისთკს მრავლისმეტყუელებად, დაღაცათუ ვნებათა მრავალფერობანი მაიძულებენ მათთკს მრავლისმეტყუელებად. გარნა მესმა ოდესმე ვისგანმე, რომელი დუმილისათკს ზრახვიდა ჩემდა მომართ, რამეთუ იტყოდა იგი, ვითარმედ: „მრავლისმეტყუელებად ამათ ორთაგან მოიწევის: ანუ ზრდილობისაგან და ჩუეულებისა ბოროტისა, რამეთუ ვინავთგან ასოდ არს გუამისად ენად, ვითარცა დაეჩოს, ეგრეთცა ეძიებდეს ჩუეულებასა თკსსა; ანუ-თუ ცუდადმზუაობრობისაგან მოღუანეთა თანა, და იქმნების ნაყროვანებისაგანცა; ამისთკსცა მრავალნი აღვრასხმენ მუცელსა მათსა შიმშილითა და მის გამო დაადუმეს მრავალმეტყუელებად მათი“.

10. რომელი იქსენებდეს სიკუდილსა, მან მოიძულნეს სიტყუანი ცუდნი, და რომელმან მოიგოს გლოვად, იგი ვითარცა ცეცხლისაგან, ივლტოდის მრავალმეტყუელებისაგან.

<sup>1</sup> ბერძნულში: ხმამ (ფიოზ). როგორც ჩანს, გადამწერის შეცდომაა. შდრ. პეტრე გელათელის თარგმანი (H-1669): „დუმილმან იისუსმან შეარცხვინა პილატეს, და მამაკაცისა მყუდროებამან წმისამან დაამწუა ცუდადდიდებულებად“ (რედ.).

11. რომელმან შეიყუარა დაყუდებად, მან შეიკრძალა პირი, ხოლო რომელსა უყუარნ მიმოსლვად, იგი განიდევნის ვნებისა მის მიერ სენაკით თვისით.

12. რომელსა უხილავს გემოდ სიტქბოებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და უყნოსიეს სულნელებად ცეცხლისა მის ზეცისად, იგი ვითარცა ფუტკარი კუამლისაგან, ესრეთ ივლტინ კაცთაგან, რამეთუ ვითარცა მას იოტებს კუამლი, ეგრეთვე ამისა საქმესა წინააღმდების აღრევად კაცთად.

13. ფიცხელ არს და ძნელ დაყენებად წყლისად თვინიერ საპყრობისა და საგოზლისა, და უძნელეს ამისა არს დუმილი ენისად თვინიერ მარხვისა. ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს, რომლისა არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე მეათერთმეტტ კიბც არს. რომელმან სძლოს ამას მტერსა, მას სიმრავლე ვნებათად მოუსპოლავს თავისაგან თვისისა.

## ტყუილისათვს

### თავი 12

1. ნაშობი რკინისა და ქვისად არს ცეცხლი, და მრავალ-მეტყუელებისა და განცხრომისა – ტყუილი არს.
2. ტყუილი არს განმრყუნელი სიყუარულისად და მშო-ბელი ცრუდ ფიცისად, რომელ არს ღმრთისა უარის-ყოფად.
3. ნუვინ ჰელინებნ, რომელსა აქუს ცნობად, ვითარმედ ცოდვად ტყუილისად მცირე არს. რამეთუ სულმან წმიდა-მან საშინელად თქუა მისთვს პირითა დავით წინადანარ-მეტყუელისადთა, ვითარმედ: „რომელი იტყვს სიცრუესა, მას არა წარემართოს წინაშე თუალთა ჩემთა“ (ფსალმ. 100,7).
4. უკუეთუ წინადანარმეტყუელი დავით იტყვს ღმრთისა მიმართ, ვითარმედ: „წარწყმიდნე შენ ყოველნი, რომელნი იტყვან სიცრუესა“ (ფსალმ. 5,7), მაშა რად-მე ყონ მათ, რომელნი ტყუილსა თანა ფიცისაცა წარსწმასნიან?!“
5. ვიხილენ რომელნიმე კაცნი, ვითარმედ იხარებდეს ტყუილსა ზედა, და განცხრომითა და ცუდადმეტყუელებითა ნივთებდეს სიცილსა, და წესსა მგლოვარეთასა განპრყუნი-დეს.
6. რაჭამს იხილიან ეშმაკთა ერთი ვინმე მათგანი, ვი-თარმედ ჰელინებავნ წარსლვად მიერ შეკრებულთა მათგან, რომელნი სავსე იყვნიან სიცილითა და ბასრობითა, მაშინ ეტყვედ მას ზაკუვით და აცთუნებედ ორითა გულისსიტყვ-თა: ერთად ეტყვედ, ვითარმედ: „ნუ შეაწუხებ მეტყუელსა მას“; და მეორედ, ვითარმედ: „ნუ უჩუენებ თავსა შენსა, თუ ღმერთი გიყუარს უმეტეს მოყუასთა შენთა“.
7. ივლტოდე ესევითართაგან და ნუ ჰყოვნი მუნ. თუ არა, ლოცვასა შინა შენსა გულისსიტყუანი სიცილისა და განცხრომისანი მოგიტებოდინ და დაგაბნელონ.
8. ნუ ოდენ ივლტი, არამედ უკუეთუ ძალ-გედვას,

დაპქსენცა ბოროტი იგი ზრახვად, და წსენებად სიკუდილისა და საშჯელისად შორის შემოიღე, რამეთუ უმჯობეს არს, და-ლაცათუ მცირედ რამე ზუაობად გესხუროს ამისგან, ოდენ ისწრაფე, რადთა სარგებელ-ეყო შენსაცა თავსა და სხუათა ყოველთა.

9. ორგულებად დედად არს ტყუილისად და საქმეს მისი, რამეთუ ორგულებად სხუად არარად არს, გარნა წურთად ტყუილისად და მოპოვნებად ფიცთა ცუდთად.

10. რომელმან შიში უფლისად მოიგო, იგი უცხო იქმნა ტყუილისაგან, რაუამს აქუნ თავსა შორის თვესა მსაჯული თუალუხუავი, რომელ არს სკნიდისი.

11. ვითარცა ყოველთა ვნებათა ზედა განყოფილებანი არიან საშჯელთანი, ეგრეთვე ტყუილისათვს. რამეთუ სხუად საშჯელი არს მისი, რომელმან შიშისათვს ტანჯვისა ტყუა და სხუად არს მისი, რომელმან თვინიერ ჭირისა რაღსამე ქმნა იგი უშიშოებითა ღმრთისადთა.

12. სხუამან ტყუა საზრდელისათვს და სხუამან – გემოთ-მოყუარებისათვს; და სხუამან – რაღთა მის თანა მყოფთა სი-ცილი მოატყუას; და სხუამან – რაღთა ძმასა თვესა ბოროტი უყოს.

13. ტანჯვისაგან მთავართადსა აღიწოდების ტყუილი, ხოლო სიმრავლისაგან ცრემლთადსა სრულიად წარწყმდების და მოისპოლვის.

14. მიზეზობნ გულისჯის-ყოფით ქმნასა მეტყუელი იგი ტყუილისად, და სიმართლედ შეერაცხის წარწყმდებად სულისა თვესისად.

15. რააბ მეძვისა საქმისა (იხ. ისუ ნავე 2,1-21) ქმნასა იჩემებს კაცი მტყუანი და წარწყმდებითა თვესითა სხუათა ცხორებისა მოსყიდასა იტყვს.

16. უკუეთუ განვიწმიდოთ ტყუილი სრულიად ჩუენგან, მერმე დაღაცათუ მოიწიოს რამე ჭირი და გკნდეს მოწოდე-ბად ტყუილისად, მაშინცა ივლტოდის იგი ჩუენგან.

17. ყრმამან ჩჩკლმან არა იცის ტყუილი, არცა სულმან განშორებულმან პოროტებისაგან.

18. დააპამის რად ღვნომან გული კაცისად, თვინიერ ნებისა მისისა თქვს სამართალი, და რომელნი აღიგსნენ ლმობიერებითა ცრემლთავთა, არა იციან ტყუილი, რამეთუ მარადის უფალსა ადიდებენ იგინი, რომლისა არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე მეათორმეტც კიბც არს. რომელი მძლე-ექმნას ამას გუელსა, მას ძირი კეთილი მოუგია, რომელ არს ჭეშმარიტებად.

## მოწყინებისათვეს

### თავი 13

1. ესეცა ვნებად მოწყინებისად ერთი არს მრავალმეტ-  
უფელებისა რტოთაგანი, ვითარცა ზემო ვთქუთ, და უფროდ-  
სად პირმშორ ნაშობი არს მისი. ამისთვისცა ჯეროვანსა ად-  
გილსა დავაწესეთ იგი ბოროტსა მას ჯაჭუსა შინა ვნებათასა.

2. მოწყინებად დაწსნად არს სულისად და უძლურებად  
გონებისად; და სულმოკლებად მოღუანებისად და მოძულე-  
ბად მონაზონებისად, მნატრელ ერისკაცთად; და შემასმენე-  
ლი ღმრთისად, ვითარცა უწყალოდსად და არა სახიერისად  
და უძლურებად ლოცვისად; და მსახურებასა შინა ფრთხილ,  
წელთსაქმარსა უცონელ და მორჩილებასა მოსწრაფე.

3. კაცი მორჩილი გამოუცდელ არს მოწყინებისა, რამე-  
თუ ხილულთა მიერ უხილავი მოუპოების მას.

4. კრებული ზოგადცხორებულთად მოწყინებისა წინააღ-  
მდგომი არს, ხოლო კაცი მარტოდმყოფი – მოყუასი მისი  
საუკუნე.

5. პირველ სიკუდილისა მისისა არა განეშოროს და პირ-  
ველ საფლავად მისლვისა მარადლე ჰპრძოდის.

6. სენაკი მარტოდმყოფისად იხილა ეშმაკმან მოწყინები-  
სამან და განიცინნა, და მახლობელად მისა მივიდა და დაე-  
მკვდრა მის თანა.

7. მკურნალი სნეულთა განთიად მოიკითხავნ, და მოწყი-  
ნებად დაყუდებულთა შუადლე მოუკდის.

8. უცხოთშეწყნარებასა მოაგონებნ მოწყინებად დაყუდე-  
ბულთა, და მოწყალებასა წელთსაქმრისა მიერ აწუევს ყო-  
ფად.

9. მისლვად უძლურთა თანა აწურთის გულსმოდგინედ,  
და მოაწსენებნ სიტყუასა მას, რომელი იტყვს, ვითარმედ:  
„უძლურ ვიყავ და მოხუედით ჩემდა“ (მდრ. მათ. 25,36).

10. შეწუხებულთა და სულმოკლეთა მიმართ აწუევნ წარ-  
სლვად და ნუგეშინისცემად სულმოკლეთა და სულმოკლემან  
მან მოაგონის.

11. ლოცვად რად დავდგით, საჭიროთა საქმეთა მოგუა-  
გონებნ და ყოვლითა ღონისძიებითა ისწრაფინ, რადთამცა  
მიერ განგუაშორნა, ვითარცა პირუტყუნი ხარტუკითა პი-  
რუტყუმან მან.

12. ცხროა და თავქედი, სიმწურვალც და სტომაქისა ტკი-  
ვილი მოიყვანის ეშმაკმან მოწყინებისამან ვიდრე სამ ჟამად-  
მდინ.

13. რაჟამს ცხრად ჟამი მოეახლის, მცირედ აღუსუბუქის,  
და რაჟამს ტაბლად დადგიან, ცხედრისაგან წარმოხლდის, და  
რაჟამს ლოცვად მოიწის, კუალად გუამი დაუმძიმდის.

14. ლოცვასა რად წარვდგით, ძილითა დაგუნთქნის და  
ზედაესზედა გუაფქნარებნ, და მიგუტაცებნ მუქლსა პირი-  
საგან ჩუენისა.

15. სხუანი ვნებანი თითოეულნი წინააღმდეგომთა თვესთა  
სათხოებათა[გან] განქარდებიან, ხოლო მოწყინებად ყოვ-  
ლით-კერძო სიკუდილი არს მონაზონისა.

16. ახოვნებამან სულისამან გონებად მომკუდარი  
აღადგინის, ხოლო მოწყინებამან და მცონარებამან ყოვე-  
ლივე სიმდიდრც განაბნის.

17. ვინათგან ერთი არს ესეცა რვათა მათ უკეთურებისა  
გულისსიტყუათაგანი და უმძიმესი ყოველთავსა, ამისთვის  
მათისა წესისაებრ ამასცა ზედა ვყოთ გამოძიებად, გარნა  
ჯერეთ ესედა ვთქუა.

18. რაჟამს ფსალმუნებად არა იყოს, მოწყინებად არა  
ჩანს, და ოდეს აღვასრულოთ კანონი ლოცვისად, მაშინ ალ-  
გუებილნიან თუალნი.

19. ჟამსა მოწყინებისასა გამოჩნდებიან მაიძულებელნი  
თავთა თვესთანი, რამეთუ არარად მოატყუებს ესრეთ გკრ-  
გკნსა, ვითარ მოწყინებად მონაზონსა, უკუეთუ არა მიერჩდეს.

20. გულისემა-ყავ და ჰერო, ვითარმედ გებრძოდის იგი მარადის უამსა ლოცვისა და ჯდომისასა, გეტყოდის რად მი-ყრდნობასა კედლისასა და გარდახედვასა სარკუმლით სენა-კისათ, და გაუცნებდეს სლვასა კაცისასა.

21. რომელმან მოიგოს ჭეშმარიტი გლოვაზ, მას არა შე-ეხოს სული მოწყინებისად.

22. მოვედით, საყუარელნო, და შევკრათ ესეცა მძღავ-რი წენებითა სიკუდილისათა და ცოდვათათა და იგუემენ წელთსაქმარითა და მოიზიდენ წენებითა საუკუნეთა კე-თილთათა, და წარმოდეგინ სამშვავროსა მას სულიერსა, და ჰერითხეთ მას, ვითარმედ: „გვთხარ ჩუენ, შენცა, ჭ, დაწსნილო და უდებო, ვინ არს, რომელმან გშვა შენ ბოროტად? და ვინ არიან ნაშობნი შენნი? და ვინ არიან მბრძოლნი შენნი? ანუ ვინ არს, რომელი მოგაკუდინებს შენ?“ ხოლო იგი იტყვს, ვი-თარმედ: „ჭეშმარიტთა მორჩილთა შორის არა მაქუს, სადა-მცა თავი მივიდრიკე, ხოლო მარტოდმყოფთა თანა ვიქცევი, და მშობელნი ჩემნი მრავალნი არიან: ოდესმე ულმობელო-ბად სულისად, და ოდესმე დავიწყებად ზეცისა კეთილთად, და ოდესმე გარდამატებულებამანცა შრომათამან მომინოდის. და ნაშობნი ჩემნი არიან მიმოსლვად ადგილითი-ადგილად ჩემ მიერ ქმნილი, და ურჩებად მოძლურისად, და დავიწყებად სა-შჯელისა საუკუნოებისად, და მრვალგზის დაგდებადცა სრული-ადი აღთქუმისა მის მონაზონებისად. ხოლო წინააღმდეგომნი ჩემნი, რომელთა მიერ ან შეკრულ ვარ, არს ფსალმუნებად და წელთსაქმარი. და ჩემი მტერი – სიკუდილისა წენებად. ხოლო ჩემი მომაკუდინებელი არს ლოცვად სასოებითა კე-თილთა მათ საუკუნეთათა. და თუ ვინ არს მშობელი ლოცვი-სად, თკო მას ჰერითხეთ“, რამეთუ იგი უფალსა უგალობს და ხადის, რომლისად არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე მეათცამეტში ძლევაზ არს ვნებათად. რომელმან მო-იგოს ესე ძლევაზ, იგი ყოველსავე შინა გამოცდილ არს.

## ნაყროვანებისათვეს

### თავი 14

1. გუნებავს მცირედ ნაყროვანებისათვესცა თქუმად, ვითარცა-იგი სხუათა მათ ვნებათათვეს. გარნა თავთა თვესთა მიმართ ვჰყოფთ სიტყუასა, რომელნიცა-ესე მუცლისა სიხაბისათვეს ვიტყვთ, რამეთუ მიკვრს, უკუეთუ ვინ თვინიერ საფლავსა დამკვდრებისა იქმნა მისგან თავისუფალ.

2. ნაყროვანებად არს ორგულებად მუცლისად, რამეთუ მაძლარ რად არნ, ნაკლულევანებასა იჩემებნ, და აღვსებულ რად არნ და განსთქდებინ, შიმშილსა ღალადებნ, და სხვსაცა მიღებად სანოაგისა ეძიებნ მოსწრაფედ.

3. ნაყროვანებად მომპოვნებელი არს სანოაგეთად და წყაროა არს გემოთმოყუარებისად.

4. დაჰყვი რად ერთი თუალი მისი, სხვთ-კერძო გამოჩნდის და რაჟამს იგიცა განაქარვი, სხვთ-კერძო გძლიის.

5. ნაყროვანებად მაცთური არს თუალთად, რამეთუ მცირედსა იტევნ მუცელი, ხოლო იგი მოაგონებნ, თუმცა ყოველივე ერთბამად შთანთქა.

6. სიმაძლრც ჭამადთად მამად არს სიძვისად, ხოლო მოყმობად მუცლისად წინამძლუარი არს სიწმიდისად.

7. რომელმან განუსუენის ლომსა, მრავალგზის მოამდოვრისცა, ხოლო რომელმან განუსუენოს წორცთა, უფროდსად განაფიცხნეს.

8. უხარინ ჰურიასა შაბათისა და დღესასწაულისათვეს, და მონაზონსა ნაყროვანსა – შაბათისა და კურიაკისათვეს.

9. წელიწდითა უწინარეს გამოითუალავნ აღვსებასა, და პირველ ჟამისა მოჰმზადნის სანოაგენი.

10. მონად მუცლისად იგონებნ, თუ რომლითა სანოაგითა იდლესასწაულოს, და მონად ღმრთისად ჭეშმარიტი იგონებნ, თუ რომლითა მადლითა სალმრთოდთა განმდიდრდეს.

11. ნაყროვანსა, ოდეს მოუტდის უცხოდ, შეიწყნარის სიხა-რულით და დააგის მეყსა შინა ტაბლად, და სიყუარულად ძმისა შეჰრაცხის დაწინავ თვისი.

12. რაჟამს მო-ვიეთნიმე-ვიდიან, ინების განწისნად ღვნი-სად და ჰერინებნ, თუ სათნოებასა ჰერავს, ხოლო იგი მონად არნ ვნებისად.

13. მრავალგზის ემტერებინ ცუდი დიდებად ნაყროვანე-ბასა, და ვითარცა სყიდულსა მონასა ზედა, ესრეთ ირჩიდი-ან უბადრუკსა მონაზონსა ზედა.

14. ერთი იგი განწისნასა აიძულებნ კანონისასა, ხოლო მეორც გამოცხადებასა სათნოებისა თვისისასა ჰმძლავრობნ.

15. მონაზონი ბრძენი ორთაგანვე განერეს, რამეთუ ჟამ-სა თვისსა ერთითა ერთი იოტის.

16. რაჟამს წორცთა ბრძოლანი გუმძლავრობდენ, მაშინ ყოველსა ჟამსა და ადგილსა ვტანჯნეთ იგინი, ხოლო უკუ-ეთუ წორცნი მოვაკუდინეთ (რომელ-ესე არა უწყი, თუმცა პირველ საფლავად მისლვისა იქმნა), მაშინ დავფაროთ სა-თნოებად თვისი.

17. ვიხილენ მოხუცებულნი მღდელნი, რომელთა ეკიც-ხევდეს ეშმაკნი და აიძულებდიან ხადილთა შინა ჭაბუკთა, რომელნი არა მათსა მორჩილებასა შინა იყვნიან, და კრუ-ლობითა და ჯუარისნერითა განუქსნიდიან მათ ღვნოსა და სხუათა ჭამადთა, რომელთაგან განყენებულ იყვნიან.

18. უკუეთუ წამებულნი იყვნენ ეგევითარნი იგი მღდელ-ნი ყოველთაგან ღმრთისმოშიშებასა და მოღუანებასა ზედა, ჯუარისნერისა მათისათვს მცირედ რაღმე განვიტსნათ წესი ჩუენი, ვიპოვნეთ რაღ ესევითარსა ადგილსა. უკუეთუ კულა უდებნი იყვნენ, ნურადმცა შეგვრაცხიეს ჯუარისნერად მათი, და უფროდსად უკუეთუ ცეცხლი იგი წორცთად გუმძლავ-რობდეს.

19. ჰერინებდა უბადრუკი და საწყალობელი ევაგრე, ვი-თარმედ უბრძნეს ბრძენთასა არს სიტყვთა და გულისწმის-

ყოფითა, არამედ სცთა უგულისქმოდ იგი, და უგუნურთა უუგუნურეს იპოვა მრავალთა ზედა საქმეთა, და ერთად ამას ზედა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „რაუამს მრავალთა სანოაგეთა მიმართ სუროდის სულსა ჩუენსა, მაშინ შევა-იწროთ იგი პურითაცა და წყლითა“. ხოლო ესე მსგავს არს, ვითარმცა ვინ ჰრეუა მცირესა ყრმასა, ვითარმედ: „ერთითა ნაბიჯითა აღწედ თავსა კიბისასა“. ხოლო ჩუენ წინააღუდ-გებით სიტყუასა მისსა და ვიტყვთ, ვითარმედ: „რაუამს თითოფერთა ჭამადთა მიმართ სუროდის სულსა ჩუენსა, საქმესა ეძიებს ბუნებითსა. ამისთვის უკუე ღონე ვიქმაროთ მრავალღონისა მის მიმართ, უკუეთუ არა გუაქუნდენ ოდენ მას ჟამსა ბრძოლანი მძიმენი და შიში დაცემისად, და ესრეთ ვყოთ ღონეც ჩუენი: მოვიწყვდნეთ პირველად პოხილნი ჭა-მადნი, და მერმე მწურვალენი, და მერმე გემოანნი, და უკუ-ეთუ შესაძლებელ იყოს, ვსცეთ მუცელსა ჭამადი განმაძღე-ბელი და ადვილად მოსადნობელი, რათა განძღომითა მით განუძღომელი იგი გონებად მისი ვიოტოთ, ხოლო ადრე მო-დნობითა მით მწურვალებისაგან წორცთავსა, ვითარცა ცე-ცხლისაგან განვერნეთ“.

20. უკუეთუ გამოვიძიოთ, ვპოოთ, ვითარმედ ქარიანნი ჭამადნი უმრავლესნი აღმძვრელცა წორცთა არიან.

21. ეცინოდე ეშმაკსა მას, რომელი შემდგომად სერობისა გეტყოდის, რათამცა ჰყავ აღთქუმად ხვალისა მარხვისათვის, რამეთუ მოიწის რად მეცხრც ჟამი ხვალისად მის, უარყვის აღთქუმად იგი თვისი.

22. სხუად არს მარხვად იგი მათი, რომელი არა შთავრ-დომილ იყვნენ დაცემასა, და სხუად არს მათი, რომელი შთავრდომილ იყვნენ. რამეთუ პირველთა მათ წორცთა აღ-ძრვისა მოკუდინებად აქუს სასწაულად, ხოლო მეორენი ვი-დრე სიკუდილად და აღსასრულადმდე დაუგებელ და უნუგე-შინისცემო არიან წორცთა მათთა და მუცლისა მიმართ.

23. პირველთა მათ უკმს, რათა მარადის შეზავებულე-

ბაა ბუნებისა მათისაა უვნებელად დაიცვან; ხოლო მეორენი იგი მჭმუნვარებითა სულისადთა და განლევითა წორცითადთა მოწყალე-ჰყოფენ ღმერთსა მათ ზედა.

24. უამი ნუგეშინისცემისა და სიხარულისაა სრულთათვს არს უამი უზრუნველობისაა ყოველსავე შინა, ხოლო მოღუანისათვს სიხარულ არს უამი ბრძოლისა და ძლევისა მტერთადსად, ხოლო ვნებულისათვს უამ სიხარულისა არს დღესას-ნაული დღესასწაულთად და კრებად კრებათად.

25. სიზმარნი და წსენებანი ჭამადთა და სანუაგეთანი – გულსა შინა ნაყროვანთასა, ხოლო სიზმარნი და წსენებანი სატანჯველთა და საშჯელთა საუკუნეთანი – გულსა შინა მგლოვარეთასა.

26. ეუფლე მუცელსა, ვიდრე არა უფლებულ არს იგი შენდა, და მაშინ იმარხვიდე სირცხვლით.

27. იციან თქუმული ესე, რომელნი-იგი გამოუთქუმელსა მას მთხრებლსა სიძვისასა შთავრდომილ არიან, ხოლო კაცნი საჭურისნი გამოუცდელ არიან ამას.

28. აღვრ-ვასხნეთ მუცელსა ჩუენსა წსენებითა ცეცხლისა მის საუკუნოესადთა, რამეთუ მრავალნი მორჩილ იქმნეს მუცლისა თვისისა და უკუანასკნელ ასონიცა მათნი მოიკუ-თნეს და ორ-კერძოეთავე სიკუდილითა მოკუდეს.

29. გამოვიძიოთ და გულისწმა-ვყოთ და ვპოოთ უეჭუე-ლად, ვითარმედ ჩუენ შორის დანთქმანი იგი ბოროტნი ამას ოდენ უქმნიეს.

30. გონებად მმარხველისაა ილოცავნ ფრთხილად, ხოლო გონებად ნაყროვანისაა სავსე არს კერპებითა არაწმიდებითა.

31. სიმაძლრემან მუცლისამან განაჯმნის წყარონი თუალ-თანი, ხოლო მოყმობამან მუცლისამან გამოადინნის წყარო-ნი ცრემლთანი.

32. რომელი განუსუენებდეს მუცელსა თვისსა და ჰებ-ნებდეს, ვითარმედ მძლე-ექმნას ეშმაქსა სიძვისასა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი შრეტნ ზეთითა ცეცხლსა.

33. რაჟამს შეიწრდის მუცელი, დამდაბლდის გული, ხოლო განისუენებნ რა იგი, მაღლოინ გონებად და განიბნინიან გულისსიტყუანი.

34. განიკითხე თავი შენი, ძმაო, განთიად, შუადღე და მწუხრი, და უნინარეს საზრდელის მიღებისა, და თკთ გულისწმა-ჰყო სარგებელი მარხვისად.

35. განთიად შფოთებდიან და განიბნეოდიან გულისსიტყუანი, ხოლო შუადღე რა იქმნის, მცირედ მოუძლურდიან, და რაჟამს მზც აღივსის, მაშინ სრულიად დამდაბლდიან.

36. აჭირვე მუცელსა და უეჭუელად დაადუმო პირი შენი, ხოლო განძლიერდების ენად სიმრავლისაგან ჭამადთავსა და იწყებს მრავლისმეტყუელებად.

37. სიფრთხილით ფრთხილ იყავ მისა მიმართ, და ბრძოლით პბრძოდე მას, რამეთუ უკუეთუ მცირედ დაშურე, მეყსეულად უფალი შეგენიოს შენ.

38. თხიერნი რაღომცა იზილებოდინ, უმეტესად განვრცელდებიან, ხოლო უკუეთუ შეურაცხ იქმნენ და მოუზელელ იყვნენ, ვერ დაიტიონ ეგოდენი.

39. რომელი აიძულებდეს მარადღე მუცელსა თვესსა ჭამად, განავრცნეს ნაწლევნი მისნი, ხოლო რომელმან იღუანოს მარხვითა, მან შეაიწრნეს იგინი, და იგინი რა შეიწრდენ, ვერლარა იტევდენ ფრიად, მაშინ ვიმარხოთ მარხვად ბუნებითი.

40. წყურილმან წყურილი მრავალგზის დააცხვის, ხოლო შიმშილითა შიმშილისა განკუეთად ძნელ არს და შეუძლებელ.

41. რაჟამს მძლე გექმნას შენ მუცელი, შრომითა მარხვისათა სძლე მას. უკუეთუ კულა ამას ვერ შემძლებელ იყო უძლურებისაგან, ტანჯე იგი მღვდარებითა.

42. დამძიმდენ რა თუალნი შენი ძილითა, აღიღე ჭელთსაქმარი, ხოლო უკუეთუ არა გმძლავრობდეს ძილი, ნუ იქმ, არამედ ილოცევდ, რამეთუ შეუძლებელ არს ღმრთისა

თანა და მამონავსა, ესე იგი არს ღმრთისა თანა და წელთ-საქმრისა დამჭირვად გონებისაა.

43. უწყებულ იყავ, ვითარმედ ოდესმე ეშმაკი სტომაქ-სა ზედა კაცისასა დაადგრის და უძლებ ქმნის იგი, რომელ ჰეონებნ, თუმცა შეჭამა ყოველი ეგვეტც და შესუამცა მდი-ნარც ნილოსი, ვერმცა განძლა.

44. შემდგომად განძლომისა წარვიდის არაწმიდად იგი ნაყროვანებისა ეშმაკი და სიძვისა იგი მძლავრი მოგვლინის, და უთხრის მას ყოველი საქმც ჩუენი, და ჰრეპს: „მისწრაფე ადრე, უცუნდრუკებდ და შეაშფოთე იგი, რამეთუ მუცელი მისი სავსე არს და ნუ ზრუნავ, არა ფრიად დაშურე“.

45. მოვიდის ეშმაკი იგი სიძვისად მრისხანებით ჩუენ ზედა, და მაძლარნი რად გკხილნის, განილიმნის, და წელნი და ფერწნი შეგვკრნის ძილითა, და რადცა ჰნებავნ, ქმნის, რა-მეთუ გუემლერინ, და სული და წორცნი შეაგინნის უცნებითა და დინებითა ბილწებისადთა.

46. ეპა საკურველი საქმც, ძმანო! ვითარ უწორცოდ იგი და უნივთოდ გონებად წორცთა მიერ ნივთიერთა შეიგინების და დაბნელდების, და კუალად თიჯისა მის მიერ უნივთოდ იგი განწმდების და დათხელდების, და კეთილად მხედველ იქმ-ნების.

47. უკუეთუ აღთქუმით აღგითქუამს ღმრთისადა, რადთა ხვდოდი გზასა იწროსა, შეაიწრე მუცელი შენი, რამეთუ ვი-დრემდის იგი განისუენებდეს, უწყოდე, ვითარმედ აღთქუ-მასა შენსა გარე აღსრულ ხარ.

48. ისმინე, რასა-იგი იტყვს უფალი და გულისქმა-ყავ, ვითარმედ: ფართო არს და ვრცელ გზად იგი მუცლისად, რომელი მიიყვანებს წარსაწყმედელად სიძვისა, და მრავალ-ნი არიან, რომელნი ვლენან მას შინა.

49. ვითარ იწრო არს ბჭც და საჭირო გზად მარხვისად, რომელი მიიყვანებს სიწმიდისა სავანედ, და მცირედნი არი-ან, რომელნი ვლენან მას შინა (შდრ. მათ. 7,14)!

50. მთავარი ეშმაკთად არს ზეცით გარდამოვრდომილი იგი მთიები, და მთავარ ვნებათა არს სიმაძლრც მუცლისად.

51. შჯდე რად ტაბლასა ზედა სანოაგითა სავსესა, წსენებად სიკუდილისა და საშჯელისად შორის შემოიღე გონებასა შენსა, და ესრეთცა ძლით დააყენო მცირედ რამე ვნებად იგი ნაყროვანებისად.

52. სასუმელსა რად მიიღებდე, ნუ დაივიწყებ წსენებასა ძმრისა მის და ნავლლისასა, რომელი მიიღო მეუფემან შენმან. და განალა ანუ იმარხო, ანუ სულთ-ითქუნე, და დაამდაბლო გონებად შენი და აბრალო თავსა შენსა.

53. ნუ ეკიცხევ თავსა შენსა, ძმაო, რამეთუ ვერ განერე უხილავისა მის ფარაონსაგან, ვერცა იხილო ზეცისა იგი ზატიკობად, უკუეთუ არა უფუარი და ველისყრდელი შჭამო ამას სოფელსა შინა ყოველთა დღეთა შენთა.

54. ველისყრდელი არს სიმწარც იგი და შრომად და ტკივილი მარხვისად, ხოლო უფუარი – გონებად მდაბალი, რომელი არასადა მიიღებს საფუარსა მას ზუაობისასა.

55. შემშჭუალე გულისისიტყუასა შენსა სიტყუად იგი მეტყუელისად მის, რომელი იტყვს, ვითარმედ: „რაჟამს-იგი მბრძოდეს მე ეშმაკნი, შევიმოსე ძაძად და დავიმდაბლე მარხვითა სული ჩემი, და ლოცვად ჩემი წიაღთა სულისა ჩემისათა განუშორებელ იყო“ (შდრ. ფსალმ. 34,13).

56. მარხვად იძულებად არს ბუნებისად, და დამჯსნელი გემოთა სასისათად, და მომსპოლველი ჭორცთა წურვებისად, და მომკუეთელი არს გულისისიტყუათა ბოროტთად; თავისუფლებად არს სიზმართა ბილნთად, და სიწმიდც ლოცვისად, და მნათობი არს სულისად, და მცველი გონებისად, და დამჯსნელი გულფიცხელობისად, და კარი ლმობიერებისად, და მომატყუებელი სულთქუმათა მდაბალთა და შემმუსრველ არს გულისად კეთილი, და უჩინომყოფელი ცუდადმეტყუელებისად, მიზეზი არს დაყუდებისად და მცველი მორჩილებისად და მაოტებელი ძილისად, და სიმრთელც არს გუა-

მისაა, და წინამძღვარი უვნებელობისაა, მომტევებელი არს ცოდვათად და კარი არს სამოთხისაა.

57. მოვედით, ძმანო, და ვკითხოთ ამასცა, და უფროშად ყოველთა უპირატესსა მას ბოროტსა ნაყროვანებისა ვნება-სა, წინამძღვარსა ვნებათასა, დაცემასა ადამისასა, წარწყმე-დასა ესავისასა, მომსრველსა ისრაელთასა, ნოეს შეურაცხე-ბასა, გომორელთა დამწუველსა, ლოთის ბრალობასა, ძეთა ელის მღდლისა წარმწყმედელსა, შეგინებათა მომატყუე-ბელსა. ვკითხოთ მას და გამოვიძიოთ, რადთა გკოთხრას, თუ ვინაა იშვების, და რანი არიან ნაშობნი მისნი, და ვინ არს შემმუსრველი მისი, ანუ ვინ არს წარმწყმედელი მისი სრუ-ლიად.

58. გკოთხარ ჩუენ, შ, ყოველთა წორციელთა მოძღვარო, რომელმან ყოველნი მოიყიდენ ოქროთა უძლებებისათა, ვინაა გაქუს შენ შემოსლვად ჩუენ შორის? და შემდგომად შემოსლვისა ვითართა ნაშობთა შობ შენ ჩუენ შორის? და რად არს შენი ჩუენგან განსლვად?

59. ხოლო იგი უკეთური ესრეთ მოგვგებს, რომელნი ვკითხვიდეთ მას შეურაცხებით და გინებით, ვითარმედ: „რასა მაგინებთ და შეურაცხ-მყოფთ თქუენ, რომელნი წელმწიფებასა ჩემსა ქუეშე ხართ, ანუ ვითარ ისწრაფით ჩემგან განშორებასა? და მე ბუნებით თქუენ თანა შეკრულ ვარ. ჩემი კარი სიმრავლც ჭამადთად არს; და ჩემისა უძლე-ბებისა მიზეზი ჩუეულებად არს დაძუელებული, და ულმო-ბელობად სულისაა, და დავიწყებად სიკუდილისაა. ხოლო ნაშობთა ჩემთა სახელებისა ვითარ გნებავს ცნობად? აღვრაცხენ იგინი და უფროშა ქვშისა ზღვსა განმრავლდეს, გარნა პირმშოთა მათ და საყუარელთა შევილთა ჩემთა სახე-ლები ისმინეთ: ძც პირმშოდ ჩემი არს სიძვად, და შემდგომად მისსა – სიფიცხც გულისაა, და მესამც არს ძილი, და მერმე – ზღუად გულისსიტყუათად და ღელვანი შეგინებისანი, და უფსკრული გამოუთქუმელთა და მიუთხრობელთა არაწმი-

დებათავ ჩემგან გამოვალს. ასულნი ჩემნი არიან: მცონა-რებაზ, მრავალმეტყუელებაზ, კადნიერებაზ, განცხრომაზ, სიცილი, ცილობაზ, ქედფიცხელობაზ, ურჩობაზ, ულმობელობაზ, წარტყუენულობაზ გონებისაზ, და სიმაღლეზ და სიფუდულეზ, და სოფლისმოყუარებაზ, რომელსა შეუთქს ლოცვაზ შეგინებული და განპნევაზ გონებისაზ, და მრავალგზის განსაცდელნი მოულოდებელნი, რომელთა შვიან სასოწარკუეთილებაზ, ყოველთა უძკრესი. მე ვშობ ვნებათა და განვამრავლებ დაცემათა და დავავიწყებ სიკუდილსა. მე მებრძვის, გარნა ვერ მძლეეს წსენებაზ ცოდვათავ; ხოლო მემტერების ძლიერად წსენებაზ სიკუდილისაზ, არამედ სრულიად განმაქარვებელი ჩემი კაცთაგან არარა არს. ხოლო რომელმან მოიგოს სული წმიდაზ, მისა მიმართ ჭრტინავნ ჩემთვის და ევედრებინ და იგი მომაუდლურებს მე და არღარა მიტევებს, რაღამცა ვნებულად რასმე ვიქმოდე. ხოლო რომელთა მის ნუგეშინისმცემელისა სიტყბოების გემო არა უხილავს, მათ თანა დატკბეს ჩემი სიტყბოებაზ უეჭუელად, რამეთუ განმაქარვებელი ჩემი იგი მხოლოდ არს, რომლისაზ არს დიდებაზ უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე მეათოთხმეტჲ კიბჲ არს ძლევაზ დიდი და ახოანი ვნებისა მის ბოროტისაზ. რომელმან შეუძლოს მისსა ძლევად, საცნაურ არს, ვითარმედ სიწმიდისა და უვნებელობისა მიმართ სრულისა მივალს.